

345
1895 10

საქართველო
საბჭოთაო

№ II



1895

შ ი ნ ა ა რ ს ი

ყურნალის „ჯეჯილისა“

I	გათენება.—ლექსი მეტყეხელი გლენი ლექსი მიწისაჲსი..	3
II	უცნაური მონადირე—ჰართუნ გოთუასი	5
III	არწივი და ყვავი—გაჟა-ფაჟაჲსი	13
IV	მშრომელი—თ. წაწიკაჲსი	18
V	მამალი რას ყივის—ხალხური—აკაკის	26
VI	ილოს ოცნება—ლექსი შიო მღვიმელისა	30
VII	პაატა—ქიზიყში გაგონილი ლეგენდა—გ. ბაკურციხელისა .	35
VIII	გაზაფხულის მზე—ლექსი ღუტუ მკვრელისა	40
IX	პირველი ცნობები ბუნებაზე—პოლბერიდან—ილიკოსი .	41
X	არაკი—ილიკოსი, ხალხში გაგონილი	47
XI	ბაყაყი—თარგმანი ა. კოჭლტაძისა	49
XII	როგორ დაფრ. ადამიანი ჰარის ბურთით —თ. მთავრისაჲსი	51
XIII	„მოდი, შეილო, ჩემთანა“ --ა. უუმისთაჲსი	56
XIV	სიუ-ლიენ—ა. პანჩვისა	58
XV	ანდაზები, გამოცანები, ზმნა-გამოცანა, ჩქარა გამოსატქმე- ლი, ხალხური ლექსები, სამათემატიკო გამოცანა, აკროსტიხი, შარადა და რებუსი.	61

ჯეჯილი

საუმაჯვილო ნახატებიანი

ქუჩნალი

იზარდე, მწკანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

406


№ II

წელიწადი მეექვსე

თფილისი

სტამბა გ. დ. როტინიანცისა || ტი. მ. დ. როტინიანცა. გოლ. პრ. დ. № 41.

1895.





Дозволено цензурою Тифлисъ, 1 Марта 1895 года.

გათენება



ყივლე ჩემო მამალო,
იყივლე, გათენდებაო!!
თორემ მომწყინდა ბნელაში
მე ძვეშაგებში გდებაო.

ფრთა-ფრთას შემოკკარ ჩვეულათ
გულის წამლათ დამედებაო!
წოლით გვერდები მეტკინა
და აღარც მეძინებაო.

ვიცი, შენს ყივილს მოკყეება
რიურაყი მტრედის ფერიო!..
წინამორბედი კარგი ხარ,
თუმც ხრინწიანათ მღერიო.

იყივლე, ეგებ გათენდეს,
მზეც ამოზრწყინდეს მალეო!
გაგვათბოს, სული ჩაგვიდგას,
იმას კი ვენაცვალეო!

ქერები მოსაფლელი გვაქვს,
 ყანებიც მოგვესწრებაო! —
 ბნელაში რა ვიმუშაოთ?
 სწორეთ რა ვაკეთებაო?

ვიტანჯვი გათენებამდი
 და აღარც მეძინებაო!
 წოლით გვერდები მეტკინა...
 ახ, როდის გათენდებაო?

იყივლე ჩემო მამალო!
 იყივლე, გათენდებაო!
 მესამეთ კიდევ დასძახე
 თავი ნუ მოგიკვდებაო!

მეტეხელი გლეხი ალექსი მიწნაშვილი



უცნაური მონადირე

(მოგონება)



მეჭენეს ქათმებმა კრიახი, ძაღლები აქეთ-იქით დაიფანტნენ და შეუწყვეტელი წკმუტუნი და ჩქარი ყეფა გააბეს, ქალები და ბავშვებიც გამოვარდნენ სახლიდან და „სეისო, სეისო“ ძახილი მორთეს.

— უი, წაიღო იმ დაწყველილმა, წაიღო, ყვიროდნ ერთხმათ.

— აგერ მიაქ, აგერ, მოისმა ერთი მხრიდან, — უშველებელი ტურაა, არიქა, ყურშავ ეცი, ეცი, ეციო! — ყველანი წივილ-კივილით იქით გაიქცენ.

ტურის წინააღმდეგ საზოგადო მოძრაობამ მეც გამიტაცა. მაშინვე თოფს ხელი წამოვაფლე და გარეთ გამოვარდი. უფროსები: მამა და ძმა სახლში არ იყვნენ იმ დროს, მაშ ვინ უნდა გამოჰკიდებოდა ტურას თოფით, თუ არ მე? იმ კუდიანმაც დრო შეარჩია, ჯინზე ახლა მოიტაცა ქათამი, — მართო ქალები და ბავშვები სახლში, რომც შემიტყონ, მაინც ვერაფერს მაწყენენო, გაიფიქრა ტურამ. — მე კი არაფრათ ჩამაგლო.

— მარა, თუ ბიჭი ვყოფილვარ, ვაყურებიებ, რავარცხა უნდა ქალების და ბავშვების დაჯახნება.

ამ სიტყვებთან თოფიც მხარზე გავიდევნი და ტურას გამოვეკიდე. საზოგადო ყვირილში და ალიაქოთში ვერც კი შემამჩნიეს ისე გადაეძვერი ტყისკენ: უნდა გაგიტყდეთ კიდევ ვცდილობდი, არ შევემჩნიეთ. მეშინოდა თოფი არ წაერთმიათ.

— ბალანაი ხარ, რამეს იტყენო, მეტყოდნ და არც ტყეში გამიშვებდნ. მაგრამ მაშინ ტურა ხომ დაუსჯელი დარჩებოდა და ეს კი მე სრულებით არ მსურდა.

ჩემ წინ ძაღლები მითარეშობდნ. ხან შეჩერდებოდნ, ტურის კვალს სუნვას დაუწყებდნ და ხან კი ისევ ატეხდნ აჩქარებულ ყეფას და წინისკენ გაფრინდებოდნ. მეც მათ მივდევდი და ვაქეზებდი. შევდიოდი თანდათან ტყეში და გულის რაღაც გამოუთქმელი სიამოვნებით მევსებოდა.

მე, ალტაცებული, ველაპარაკებოდი ხეებს, ვესაუბრებოდი ქვეებს და ბალახებს:

— შენ კი იცი, შე ეშმაკო, საით წავიდა ტურა-კუდურა! მითხარი, თუ გიყვარდე, შენ რა დაგაკლდება! მითხარი, ბარემ, მეჩქარება. იმან უშველებელი დედალი მოგეტაცა, მინდა დესაჯო. რას გაჩუმებულხარ?.. დაგანამუსა, ნუ ეტყვიო? იქნება ქრთამიც მოგცა? აჰ! აი, შე უნამუსო შენა, რას იცინი? ხომ მიგიწვდი? არც ახლა მეტყვი? აბა, თუ არ მეტყვი, იგი შენ!.. ვიტყვადი და ხეს ფურცელს მოეწყვეტდი, ქვას ერთი ადგილიდან მეორეზე გადავადებდი და ბალახს კი ან წვერს წავაგლეჯდი და ან შევდგებოდი ზედ და ფხებს გაუსვ-გამოუსვებდი. რომელიმე ქვას რომ მიწიდან ვეღარ ამოვადრობდი, საშინლათ გული მომივიდოდა. — როგორ მიბედავ, შე უბედურო, დავუწყებდი წყრომას, რომ ჩემს სურვილს ეწინააღმდეგები. ვერ მაყურებ, რა მიკავია ხელში? გაგთელავ ახლავე!

• მე მაშინვე თოფს დაეუმიზნებდი და „ტუუჰ“ დავიძახებდი. — ხომ მოკვდი ახლა! ოჰ, ასე გირჩევნია, როგორ არ შეასრულე ჩემი სურვილი. ვინ ვარ მე, არ იცი? მე ახლა აქაურობის ბატონი ვარ, ხემწიფე ვარ, იცო შენ! — ვიტყვადი და მეორე ადგილს გავიქცევოდი.

უცებ ამ სირბილში ჩემ წინ მრავალგვარი სოკო დავინახე. მაშინვე მათთან მივარდი.

— აა! გამარჯობა თქვენი, როგორ შევიდობით ბრძანდებით, როგორ გიკითხოთ? თქვენი ნახვა დიდი ხანია მსურდა, მარადრო ვერ ვიშოვე; იმედია მომიტყევებთ. ახლა კი სამაგიეროთ სახლში უნდა დაგაბატიყოთ. შენ რას იხდი მაღლობას, სოკო მჭადავ! შენც არ მომიკვდე, შენისთანა გლახა სახლში არ დავბატიყო. ტყუილათ ნულარ მელაქუცები, აი, შენს გვერდით რომ შევნიერო სოკო კვერცხა, იმას ვბატიყო.

შუადღე მშვიდობის, ქალბატონო. რას იმალები მაგ ფოთლებში. შენისთანა შევნიეროს სრულებით არ შეჭმენის მორცხვობა. ჩვენებმა შემოგივალეს, ერთი შენი ლამაზი თავი დაგვანახეო. წამობძანდი შენი ჭირიმე. ვუთხარი და სოკო კვერცხა მიწიდან ამოვიღე. გამოვხვიე ფოთლებში და უბეში ჩავიდე. ფოთლებმა ტანზე შემინიციინეს.

— ოჰ, ნუ ეშმაკობთ, თქვენთვის იყავით, ვუთხარი მე სიცილით და ჯერ კიდევ ნეტარების ღიმილი არ გამქრალიყო ჩემს ბა-

გეზე, რომ უცებ ჩემ წინ ტურფა მოშიაშ გაინავარდა. მე მაშინვე უკან დავედგინე.

— მოშიავე, თუ ღმერთი გწამს, ერთიკახე მომიცადე. საით მიეჩქარები? შენთან საქმე მაქვს. მოშიაშ თითქოს გაიგონა ჩემი ვედრება, და იქვე ერთ ეკლიან წვერ-გამხმარ ხეზე შემოჯდა. მალე ის სადღაც ჩაიმალა ამ ხეზე.

— შენ, მგონია, ბუდეც მაქანაი გაქვს. ვაი, სულელო, რაკაია მოშიაშ ბარტყს რომ ეიშოენიდე, სწორეთ აქ უნდა ჰქონდეს. ჰა, ეკალო, შენ მითხარი, ხეს არ ვენდობი! რას შრიალებ? არა?! ტყუი! ეგერ რომ ფულუროა, იქ ექნება. შენ თუ არ მეტყევი, მე თვითონ გამოვალ და ენახე. ნუ გამოვალ? შენც არ მომიკვდე, შენ ვერ დამიშალო!—მე ხეზე გასვლა მოეინდომე, ცოტაზე კიდევ ავედი, მაგრამ მაშინვე ეკალში დავიბანდე, დავიჩხელიტე და ბოლოს მიწაზე ბრავანი მოვადინე. გავაბი, ჩვეულებისამებრ, საშინელი ყვირილი და „ვაი დედას“ ძახილი.

საწლში და ან სადმე მახლობლათ, რომ ტირილს დავიწყებდი, მაშინვე ყველა გარს შემომხებევოდენ და ჩემი ტირილის შესახებ მთელი გამოძიება შედგებოდა. ახლა კი ჩემს მახლობლათ არავინ ჩანდა და ხმაც არავისი მესმოდა. ამან ძლიერ გამაოცა და ცოტა კიდევ ჩამაფიქრიანა. გამიელვა მაშინვე თავში—სად ვარ ჩეტავი?

— სად და შუაგულ ტყეში, სადაც ათასი მხეცი და მავნე სულია. მივეცი მევე ჩემ თავს პასუხი.

ამ პასუხმა მთლათ დამაბნია.

— ვაი დედავ, ასე მარტოთ მარტო აქანაი რალა ექნა ახლა? დავიყვირე შიშისაგან თავზარდაცემულმა და მთლად აეცახცახდი.

ჩემი ყვირილი ერთმა ხემ მეორეს გადაცა, იმან შორეულ მთას გადაუსროლა, მთამ გაჯავრებით უკანვე შემოტყორცხნა და ამ ნაირათ მთელ არე-მარეს რალაც ახირებულნი გუგუნნი და ხმაურობა მოედო. ამ ხმაურობამ კიდევ უფრო შემაშფოთა.

თან ამ დროს ცელქმა ნიაემაც გაისისინა, გაუქროლა მიწაზე დაყრილ გამხმარ ფურცლებს და თუმცა უგულოთ გაუქნია თავისი კეკლუცი ფრთები, მაგრამ ისინი მაინც ნაზათ ჰაერში შეაფრიალა. აქედან მალე ხეებთანაც გაჩნდა, დაეწაფა მათ სიცოცხლის საესე ფოთლებს, მოესიყვარულა, მოჰხვია ხელი, მიიკრა გულზე და საამური ალერსი და ტრფილიება დაუწყო. ხევენასაც არ დაჯერდა, მათი გატაცებაც მოინდომა. მოჰხიდა თავისკენ და ცოტა კიდევ გაა-

ფარფაშა. მაგრამ მოტყუებულ ფოთლებს შტოები და ტოტები გამოესარჩლენ და თავისი საყვარელი შეილები ნიავს აღარ დაანებეს. ნიავი გაწყრა, დადგა ძალაზე. შემოტრიალდა ხელახლათ ზღულ-მოსულათ შტოებს წაეკინწლა, ცოტათი შეარხია, გააქანა ხან იქით, ხან აქეთ, მაგრამ მაინც ვერაფერი დააკლო. ნიავი გაჯინდა. ღონე მოიკრიფა და ბოლოს, როგორც იყო, ამოაპარა ტოტებს რამოდენიმე ფოთოლი, დაიწყო ფრთებზე და, ვით გამარჯვების ნიშანი, აიტაცა ზევით, შეათამაშა ჰაერში და სიცოცხლე მოსპობილნი, ისევე ქვევით ამაყათ გადმოისროლა. ფურცლები ნელ-ნელა, იქით-აქეთ ფრიალით მიწისკენ დაეშვენ. ხეები გაგულისდენ. ტყემ შრიალი დაიწყო.

ამ შრიალმა მე მთლათ დამაფეთა. გაგონილი მქონდა, ტყე რომ ხმაურობას დაიწყებს და ფოთლები შრიალს ეს იმის ნიშანია, რომ სიახლოვეს სადმე ტყის კაცი — ქაჯი გაჩნდაო და ქაჯმა თუ ვინმე დაინახა, ცოცხალსაც აღარ გაუშვებსო. უცებ თითქო ფეხის ხმაც მომესმა, თან რალაც ბურღლული გაეგონე.

— ვაიმე ქაჯებმა შემჭამეს-მეთქი, ვიყვირე და იქიდანაც მოვეკურცხლე. თუმცა ცრემლები დაბა-ღუბით მომდიოდენ, მაგრამ ტირილი მაინც შევწყვიტე, მეშინოდა, თუ ხმა ამოვიღე, ქაჯები უფრო აღრე მომნახვენ-მეთქი. გუგუნი მალე შეწყდა და მეც ამას შემდეგ ცოტა სული მოვიტყვი. დავიწყე ფეხ-აკრეფით სირბილი იქით-აქეთ. ხან წაქეუულ ხეზედაც კი შევდგებოდი, გადვიხდავდი და ხმაურობას დავაყურებდი, მაგრამ საშველი ჯერ-ჯერობით მაინც არსაიდან ჩანდა. გზა ერთიანათ ამებნა. თან მხარიც შექცა და თავი სრულს სასოწარკვეთილებას მივეცი. ცრემლები მოდიოდენ და მოდიოდენ. ზევით რომ ავიხდავდი, გული კიდევ უარესი შიშით მეცხებოდა. ცაზე ზაფხულის თეთრ-თეთრი ღრუბლები მიგოგავდენ, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ ეს ღრუბლები პირველ დანახვაზე საშინლათ ჰგავდენ ზოგი მელას, ზოგი დათეს, და ზოგი სხვა რომელსამე მხეცს, მერმე კარგათ რომ დავაჩერდებოდი, თავიდანვე დავინახავდი ვეებერთელა რქებს, რომელნიც ერთ საზარელ თავზე იყვენ ამოსული. შემდეგ ნათლათ გამოირკვეოდა გძელი თოვლის ფანტელასავით, თეთრი წვერები და ბოლოს კი მთელი სხეული გამოჩნდებოდა. ბალნით შემოსილი: ეს ვეშაპი ინძრეოდა ნელ-ნელა ზღპირდაპირ ჩემსკენ მოდიოდა. — ვაი დედა, ქაჯი! ვიყვირებდი ზღმაც ამებურძგნებოდა. გავიხდავდი განზე, აქაც ყველფერი სხვანაირათ მეჩვენებოდა. ხეები და



ბუჩქები საშინლათ მემუქრებოდნენ, ტოტებს მიქნევდნენ, ტანშიც ირ-
ყვოდნენ და გასრესას მიქადდნენ. ისევ ჩაფაჩრდებოდი მიწას და, თუ-
მცა აქაც ათასი რამე მელანდებოდა, მაგრამ მაინც თავდაფიწყებით
გავიქცეოდი.

სად მივრბოდი? ეს არც მე ვიცოდი. ხანდახან ისიც გამიელ-
ვებდა თავში. რას მივრბივარ? ხელში ტყუილათ მიკავია თოფი? რი-
სი უნდა მეშინოდეს! მაგრამ ამასთან იმასაც გავიფიქრებდი.

— თუ ქაჯი შემხვდა, თოფს დამინაფსავს და მაინც არ გავარ-
დება. და თუ სხვა რამე გამომეკიდა, ვაი თუ დავაცილო, ან ერთმა
სროლამ არ იმოქმედოს, რალა ექნა მაშინ?..

თითქმის ყოველივე იმედი გადაწყვეტილი მქონდა, რომ უცებ,
საღლაც, შორს, შორს ძაღლმა დაიყვია. ყურები გავაფაციცე. ძა-
ღლის მკაფიო ყეფა ხელ-ახლა მომესმა. მე გადავხალისდი. თითქმის
მთლათ დამეკარგა უწინდელი შიში. დაუწყე ძახილი — ყურშავა,
ყურშავა, ჰააა! და საიდანაც ყეფა მომესმა, იქით გავქროდი. ყეფა
მალე შეწყდა, მაგრამ სამაგიეროთ ღელის საამური ჩანჩქარი და
ჩუბჩუბი გავიგონე. გაეჩნდი წამის განმავლობაში ღელესთან. გავ-
კეთდი კაცი. ეს ღელე ჩენი სახლის მახლობლათ ჩადიოდა. აქეთ
ხშირათ სათევზაოთაც წამოვსულვარ.

— ვაი სულო, გავიფიქრე, დავყეფა ამ ღელეს და ერთ წამში
შინ ჩავტრიხინდები. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ სანამ ღელის
პირზე ჩავიდოდი კარგი მაღალი კოდმე (თხრილი) მქონდა გადასახტომი.
გავედი დიდი გაჭირვებით ერთ გადაწოლილ თხმელის ტოტზე და,
ესეც იყო, გადახტომას ვაპირებდი, რომ უცებ ტოტი მოტყდა და
მე ჩემი თოფიანა ერთათ ღელეში ჩავკოტრიალდი. გული არ წამ-
სვლია. რომც წამსვლოდა, წყალი ხომ შორს არ იყო, მაინც არა-
ფერი მიჭირდა... წამოვარდი მარდათ, წამოვატანე ხელი თოფს,
რომელიც წყლით გავსებული იყო, დავიძახე სამჯერ „ფუი ეშმაკს!“,
ზედ „დასწყევლოს ღმერთმაც“ დავატანე და, უკანაც არ მომიხე-
დავს, ისე შინისკენ გავიქეცი. ვირბინე გვარიან ხანს. მერმე უცბათ
თავზე ხელი მოვისვი. საღლა იყო ჩემი ჩაბალახი? თან სარტყელიც.
ორივე ღელეში დამრჩენოდა. საშინლათ დავლონდი — ცოცხლათ
შემეჭამენ იმის გულიზა, რავარც შეიტყობენ: ვიფიქრე და ჯერ კი-
დეც ყოყმანობაში ვიყავი, დავბრუნდე უკან, თუ არა მეთქი, რომ
ჩენი ძაღლების შეწყობილი ყეფა მომესმა. ხმიდან ჩანდა, რომ ისი-
ნი მე მიახლოვდებოდნენ. ცოტა გავგულიანდი. გადავწყვიტე, რო-

გორც ძაღლები მოიბრუნენ ჩემთან, მაშინვე უკან დაებრუნდები მეტქი. წინ გავიჩქარე, თოფიც შევეწკიპე. ძაღლებიც დამიახლოვდნენ. მაგრამ რას ვხედავ? გამოუღვლიათ წინ წითელი „ბონძვერა“ ტურა, უყუფენ გამწარებით და თავ-გამოდებით უკან მოდევნენ. პირველათ მე ცოტა არ იყოფ შევეკრთი, მაგრამ მეორე წამშივე ყვირილი მოვრთე — არიქა, ეცი, არიქა, ჰოჰოჰოო! მეგონა, როგორც გაიგონებდა ტურა ჩემ ხმას, მაშინვე უკან დაბრუნდებოდა. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. მოდის პირდაპირ, ან კი საით წავიდეს? იქით და აქეთ შეუვალი სიპი კლდე არის და უკან კი ძაღლები მოდევნენ, რომელნიც ამასთან ძალიან გამხნევედნენ, ჩემი ხმა რომ გაიგონეს. ტურა მომიახლოვდა. მე თოფი დაეუმიზნე. ვიფიქრე, ახლა მაინც დაბრუნდება უკან მეტქი, მაგრამ კიდევ მოვტყუედი. პირდაპირ ჩემკენ მოჰქრის. საშიშარი სანაწავია. თვალები აუნთია, პირიდან თერთრი დორბლი მოდის, კბილები დაუღჭვენავს... რადგანაც ტურა არ დაბრუნდა, ახლა გაქცევა მე დევაპირე. მინდა დავინძრე, მაგრამ რაღაცამ ფეხი სულ ერთიანათ მომკვეთა და ტყუილათაც ვეღარ გავექანე. მსურს ვიყვირო. პირიც გავადე, მაგრამ ხმა კი ვერ ამოვიღე. სიხმარში ხშირათ ვყოფილვარ ასეთ მდგომარეობაში, მაგრამ ცხადათ კი ამ ერთჯერ დამემართა. ტურა მთლათ ჩემთან მოვარდა. არ ვიცი, რა ნაირათ, მაგრამ ეს კი მახსოვს, რომ ჩახმახს ფეხი გავუშალე.

„ჩხაკ“ დაიძახა თოფმა, გავარდნით კი არ გავარდნილა. ტურაზე ამ „ჩხაკუნმაც“ კი იმოქმედა. ის სწრაფათ შენტა და კლდეზე შევარდა. მაგრამ ფეხებმა უმტყუნეს და ისევ ძირს ჩამოცოციალდა. ამ დროს ძაღლებიც გაჩნდნენ და ტურაც ქვეშ მოიგდეს. გაიმართა სასტიკი ბრძოლა. მე წამსვე გავგულადდი და ძაღლებს წაქეზებდა დაეუწყე ასე გასინჯეთ მიხმარებაც კი მოვიწოდებ. ახლოს მისვლა ვერ გავბედე, რომ ტურისთვის თავში თოფის ლულა დამერტყა. ისევ ავიღე კარგა მოზრდილი ქვა და ვესროლე. საუბედუროთ ქვა ტურას აცდა, მოზნდა ყურშივას თავზე და მსწვერპლიც პირიდან გააშვებანა. ტურა წამოვარდა. მაგრამ ახლა სხვა ძაღლებმა იმარჯვეს და ხელმეორეთ ქვეშ მოიგდეს. და ბოლოს როგორც იყო ეს საძაგელი ტურა დაიმორჩილეს და იმ ქვეყანას გაისტუმრეს. ჩემს სიხარულს ბოლო აღარ ჰქონდა. მე, პატარა თიკანსავით ვხტოდი, ვხითხითებდი, ვეთაყვანებოდი ძაღლებს, ვეხვევოდი ყურშივას და თავი, რომ სისწლში გასვრილი არ ჰქონებოდა, კოცნასაც კი ვუ-

პირებდი იმ ადგილას, სადაც ჩემი ნასროლი ქვა მოხვდა. ამას შემდეგ სადღა მახსოვდა რამე. დავავლე ტურას ფეხზე ხელი და სიჩქარით სახლში წამოვათრიე. ეზოს რომ მივუახლოვდი „კრიმანტულიც“ კი ამოუშვი:

გზა უტიეთ, აგერ მოდის იაერერაშაო.

დიდებული მონადირე ჰოუ რამარერაშაო...

სახლში ყველა ძალიან შეწუხებულიყო, მე რომ სადღაც გავიბენი. ამიტომ ჩემი ხმა რომ გაიგონეს, ყველა სიხარულით გარეთ გამოცვინდა.

მე ტურა უკან დავმალე ისე, რომ ვერაფერ ვერ დაინახა.

— რაღა ამოწუმპუღხნარ, რას ჰგაეხნარ! სა იყავი ამღონ ხანს.

მომამახნეს ერთხმათ.

— საეიყავი და სანადიროთ.

— სახლში დავტიე, შენი ნადირობა ვინ გეიგონა, შენ რა უნდა მოჰკლა?

— რასაც მოვინდომებ, იმას მოვკლავ.

— ეოი, შენ მოკლულს თითზე შევწვავთ.

— შეწვით, აბა, თუ ვარგინართ, დავიძახე მე სიცილით და მათ წინ ამაყათ ტურა დავაგდე.

— ბიჭოს! დაიძახეს ყველამ გაკვირვებით.

უფროსი ძმა მაშინვე შემეკითხა:

— ბიჭო, სა იშოვნიე მა, ტურა?

— სა ეიშოვნიდი?

— მაი შენ უნდა იცოდე.

— მოვკალა.

— რაფერ?

— რაფერ და იმფერ?

— მაინც?

— ქათამს ჰამდა, მივეპარე, ამოვიღე ნიშანში, ებრინგე და გავაგორე.

— კა, მარა რაფერ ბრინგე. თოფი რომ გაუტენელი იყო?

აქ კი უცებ შევღექი. ამას კი სწორეთ ვერ წარმოვიდგენდი, თურმე მე უბედური, გაუტენელი თოფით წავსულიყავი სანადიროთ. მაინც არ გავტყდი და ყოყმანობით ვუბასუხე:

— რა ვიცო, მე ქე კი ებრინგე და... იქნება ბაბამ გატენა.

გამოდგა რომ არც მამა ჩემს გაეტენა. ტურაც დაათვალაერეს, გასისხლიანებულ ძაღლებსაც დააკვირდენ, შემწამეს ცრუობა და მალე ყველაფერში გამომტყვეს.

ალარ მომცეს ზერე ხომ საშველი. დამიწყეს გაუთავებელი დაცინვა:

— აჰ! რაფერ მოკალი ტურა? ბრინგე და გააგორე? წყალშიაც ტურამ ჩაგაგდო? ლოყაზე იმან ხომ არ მოგებხა? სარტყელიც მაგან მოგტაცა იქნება? აჰ! და თავის ოხუნჯობა მანამდის არ შეწყვიტეს, სანამ ტირილი არ დაეიწყე.

შემდეგშიაც ვინმე უცხო სტუმარი რომ მოვიდოდა ჩვენსას, მამაჩემი ამბათ დაახვედრებდა.


— თქვენ არ იცით, ბ-ნო, რომ მე ერთი შესანიშნავი შეილი მყავს? ამ მუხუროში ყოველად ცნობილია.

— რა ქნა, ბატონო, იმისთანა? შეეკითხებოდა გაკვირიებული სტუმარი.

— უცნაური მონადირეა. ტურას ისე მოჰკლავს, რომ არც ტყვია უნდა და არც წამალი, ოღონდ კი ცარიელი თოფი მიეცით ხელში.

ამ სიტყვების გაგონებისათნვე მე სახეზე წამოეწითლდებოდი და მეორე ოთახში გავიპარებოდი, თან ეწყველიდი იმ ღღეს, როდესაც მე სანადიროთ წავედი.

პართენ გოთუა



არწივი და ყვაუვი

I



აზატებულია. შოფრინგენ
 საოთები და წერონი,
 ცას დაღარულათ აესხენ
 დიდრონნი, გასაშტერონი.
 ცა მოწმენდილა. მთებზედა
 აღარსადა ჩანს ნისლია.
 პატარა ფიფქი მოსულა,
 ქედები დაუქირსლია.
 კარგი მგზავრობის დრო არის,
 გზა გაირჩევა კარგათა.
 სამს დღეს მინდორზე ათიეს,
 ამინდს ელოდენ ამათა,

ახლა კი დროა, წერონო,
 ცას აეკიდნეთ ბარგათა!
 აფრინდა ერთი, შეჰყვირა,
 აალახლახა მხრებია
 წიოკით ქლავა-ქლუვეთა
 იმას თან მიჰყვენ სხვებია;
 ბოლივით აღმა წავიდენ,
 თითქოს ძირს ცეცხლი გენტებია:
 წავიდენ, მალლა წავიდენ,
 ძირს დარჩა დიდი მთებია;
 ჯერ არეულათ მიფრინგენ,
 არ დაწყობილან მწყკრივათა;
 ჭყვილით ბელადს მისდევენ
 გზის მაჩვენებელს წინასა.

„მიედიოთ“ არე-მარესა,
 ერთხმად უხმობენ იმასა.
 როგორ უხარისთ მგზავრობა,
 ჭკვიანათ ისხდენ დილასა!

II

მთას იჯდა ბერი არწივი
 შეღერებული ფიქრითა,
 სადაელოთ გამოსულიყო
 ვაჟკაცი იმავ დილითა,
 იბღვირებოდა მამაცათ,
 მთა-ბარს თვალებით სუტავდა,
 ყველას ჰგრძნობს, ყველასა ჰხედავს
 სადაც კი რამა ჰსუნთქავდა.
 მიმოიხედა მრისხანეთ,
 თითქოს გულსა ჰკრწს ისარი,
 ადგა, მიუპყრო ცივ ნიავს
 უდრეკი გულის ფიცარი.
 დინჯათ წაეიდა, ჭკვიანათ,
 მხრებს ათამაშებს ქარზედა
 და დაიღუპა ცაშია
 თვალის დახუჭვის ხანზედა.
 ნეტავ სად მიდის ვაჟკაცი,
 ვის რა მიუფა კარზედა?

III

აგერ წერონიც დამწკრივდენ,
 წინანდლებრ აღარ ყვირიან,
 მხოლოთ ბელადი უკივის,
 დაწყნარებულნი მიდიან.
 მოისმა ჭექა, გრიალი,
 თითქოს ცა მიწას დაეცა.
 მთას მონადირე ეილოდა,
 ხამად ბანდული ჩაეცვა,
 არწივის ომის უნახავს
 შიშით ხმა მუცელს ჩაექცა.
 ჰფიქრობდა: „ვაჰმე“, კლდე მოსქდა,

არწივი და ყვავი

ან მთიდან მოწყდა ზეგია.
საბრალოს ჩემსა ცოლ-შვილსა
დღე გაუთენდა შავია.
საცაა, მოვა წამიღებს
შეუბრალები ზეგია.
რად არ ეუჯერე სიზმარსა,
როცა რომ ენახე ავია.
კიდევ გაისმა ხვიეილი,
ცა გატყერა... ნიავ-ქარია...
ყურს უგდებს: ციდან მოგსმას
გლოვა-გოდების ზარია.
დამწკრივებულნი წერონი
რა იყო? რამ რა არია?!
ბელადს თავში ჰჭირს ნახმლვეი
დაბლა მოგორავს მკედარია,
ბუმბულს კი მიეზიდება
წალმა-უკულმა ქარია.
თან მოდევს ლევ-ჩოხა ბიჭი
ის ხომ არწივი არია!
გაჯობა ნუ გეწყინება
შენსას ჯობს მაგის გვარია,
გაცქერდა მონადირეცა
შუბლს ხელი მი-უფარია.

IV

ამ ღროს კი ყვავი არწივსა
უთვალთვალეებდა გორითა,
ყველაფერს კარგათ ჰხედავდა
შურსაცა გრძნობდა შორითა
რამდენჯერ ცდილა, არწივი
მას დაემცირა ჭორითა.
ბევრჯელ უამბო ფრინველთა
მისი სილაჩრე, ფლიდობა
და დაუძრახა ათასჯერ
არწივსაც კაი ბიჭობა,
მანც ვერ მოაშლევინა


მისი ხათრი და რიღობა.
 ჰხედავს ახლაც რომ ნადავლსა
 მკაცრათ დაეელო თავზედა.
 ჰჯიჯგნის, ჰწეწს გაათორებული
 ფრთაებ გაშლილი განზედა.
 იმას კი კუჭი ეწეება
 კონკებ-მემოკრულს ტანზედა.
 აენთო, მეტათ გაბრაზდა,
 მოართო უშნოვით ჩხაველი:
 ხან თავის ხმაზე მოთქვამდა;
 ხან მელს მიუგავს ხაველი.
 ძნელია შურით აღძრული
 ბრაზი და გულის ქაველი!
 არ იქნა, ვერ აისრულა
 ყვაემა თავისი წადილი.
 ის ქუდოსანი ბიჭია,
 ამას თავს ჰხურავს მანდილი,
 რატომ არწივი არ ვარო,
 აღედრა მისი წადილი.
 არწივი კარგათ დანაყრდა
 და გაათავა სადილი.
 კლანჭები მხრებზე გაწმინდა,
 ნისკარტი კიდევ კლანჭითა;
 შეინაფარდა ჰაერში
 ექმა მხარ-ბეჭის მანჭვითა.

V

ყვაეი ჯერ დაბლა დაეშვა,
 იქ ნასისხაზე ჩაფრინდა;
 მარტოკა ბუმბული ჰპოვა
 და თავისათვის დაფიქრდა:
 „უნდა ვეომო არწივსა,
 უნდა ვაჩვენო თავია.
 იმას ხომ მაინც იტყვიან—
 ყვაეი როგორი ავია.
 უნდა შევაკვდე. ამ ყოფნას


მის ხელით მოეკვდე ჰჯობია,
 არწივის ხელით მოკლული
 ყვეა რა დასაგმობია?
 თქვა ეს და ისიც აფრინდა
 თან „ყვა-ყვაას“ ჩხაოდა.
 არწივთან ბრძოლას უგნურ
 თავის ჭკვაშია თაობდა.
 გაუთამაშდა თვალეზ წინ
 შეჩხავლა უგემურათა,
 თან ფრთაზე გაეხახუნა
 არწივსა უკეთურათა.
 მაგრამ ყოველი მის ღონე
 რჩებოდა უბედურათა.
 ხან შორით გამოძალდება
 ვამწარებული სწრაფათა.
 იფიქრებ, გამზადებულა
 არწივის გასაკაფათა...
 არწივი ყურსაც არ უკდებს,
 თითქოს იქ ბუზა ბზუოდა
 ყვეას კი შრომისგან დაქანტულს
 ტანს ხვითქი გადადიოდა.
 რა ექნა? არწივი გაძლა,
 იმას ხომ ვიცით ჰშიოდა!
 აღარ შეეძლო მას ფრენა
 მთას დაჯდა, მწარეთ ჩხაოდა,
 არწივი ცაში ცურავდა,
 ვით ედემს ვარდი ჰყვაოდა.

ვაჟა ფშაველა



მ შ რ ო მ ე ლ ი

I



ახშობა გადასული იქნებოდა. სოფელში სმაურობა მიწედა. წინანდელი ღრია-ნცელი აღარ ისმის. ხანდახან სასლის გვერდზე, სოფელს შუა შარაზე ურემი მძიმეთ მიჭრიალებს დამეურმეც ღამის ერთფერობას არღვევს. სოფელს მადლის ეფუა მოისმის, მაგრამ იმასაც ძალე ჰწეინდება.

სასლების ბან-ფანჯრებში შუქი თანდათან კლებულობს. მხოლოდ ბებე ქეთევანას სახლიდან ისევ ისეთი სინათლე გამოდის. შევინედოთ, რას აკეთებს?

ბებე ქეთევანას დაუერთია ცეცხლზე შეშები, თვითონაც გვერდზე მოჯდომია და საწინდის ძაფსა ჰკრებს, ეტეობა ძალიან ეჩქარება.

ფანჯრიდან რომ მოეღი საათი უცქირო, ერთხელაც არ შეპოისედავს. აი, შეშა თუ განსკდება და ნაპერწკალი დაეცემა კალთაზე, იმას თუ გააქრობს, მაშინ მოაშორებს ტარს სელს, თორემ სულ ერთავათ აბრუნებს და აბრუნებს. ნამწვავ მუგუსლებს ფესით ისევ ცეცხლში ჰკრის.

— ამ ჭრახვის სინათლესე ვერას დავინახავ, თუ ცეცხლშიც არ განაშუქო.

გვერდსე ერთი გულთფორი ექვანა კატუნია მოჯდომია.

ბებეს ხელების ჰარჭყვას და ტარის ბზრიალს გაკვირვებით შეცქერის. როცა ბებე ძაფს გააგმელებს და ხელს განსე გაიტანს, ისიც თვალს გადააყოლებს; როცა ბებე ტარსე ჩანსვევს და ხელს ახლო მოიტანს, ახლა აქეთ მოაყოლებს თვალებს.

რასა ფიქრობთ, ვითომ რთვა უნდა ისწავლოს, ან გრესა-ძახვა?

— არა მკონია! რა ბავშებისათვის მოუნდება წინდების დაქსოვა. ვინ იცის, იქნება ცნობის მოყვარეობითაც მოსდიოდეს იქნება მართლა სწავლა უნდა. არ ვიცი დემრთმანი! ის კი ვიცი, რომ ციცუნიას მოჭმივდა, კაი ხანია არაფერი უჭამია და ჰატარა კბილის დასადგმელს ელის ბებესგან, როდის იქნება, მორჩეს, ვახშამი ვჭამოთო.

მაგრამ ბებერს არ მოჭწეინდა გრესა და ტარს კი, აბა, რა დაჭდალავს. თითქო ერთმანეთს ეჯობრებიან ბებერი და ტარიო.

II

როგორ ეჩქარება ბებეს ამ საწინდეს რთვა, ფიქრობს ციცუნია. მარტო ეგ და ახსოვს, მე ვიღას ვაგონდები, ან ჩემი დობილი თეკლია. ნეტა ვიცოდე, რა უცდება უმაგისობით, ვაგონილა ამდენი მუშაობა?! ერთს წამს ხელიდან არ უშვებს.

ხური მშია, ველი, იქნება ან ახლა გაძალოს ვახშამი, ან ახლა, მაგრამ ეს არსეინათ ზის; გული გადამეღია ღოდინში.

ჰო, ჰო, მე არაფერი, რატომ თვითონ მანც არა

ჭამს ვახშამს ეს დალოცვილი დიდება. ქა, კაცონილხ მშიერი მუცლით მუშაობა? თუ თვითონ ქვის მუცელი აქვს, იქნება სხვასა ჭქიან; მაგას რომ მაღა არა ჭქონდეს, ჩემი რა ბრალა. თეკლიასაც უვასშმო დაეძინა. მე კი, აბა, რა დამაძინებს, ჰატარა რომ წამთვლიძოს, მაშინვე გამოძეღვიძება ტარის გრიალისაგან.

ანძრევს თითებს ბებია, ტარიც რაც ძალი და ღონე აქვს, ტრიალებს. თან ბუხარასავით ბზუის. შევცქერიავარ, თანდათან იზრდება, მუცელი უსქელდება, ბოლოკივით უხდება.

მიკვირს, რა ზრდის, მე რატომ არ ვიზრდები მაგრე ძაღვ? როცა ძალიან გავძლები, ჰატარა მაშინ თუ დამეცობა მუცელი, თორემ უძისოთ გამოწლულსა ვგავარ.

ხანდახან ტარის წკრიბლზე ძილი მომეკიდება სოღ-მე და კრინვას მოვევები.

— ეს კატა როგორ ტებილათა კრინავსო, იძახის ბებე.

— აბა, ჩემო კატუნო, არაკები უამბე თეკლიასა, თვითონ ხომ არაფერი იცის; სულ სხვა უნდა უამბობდეს.

ბებეს ძალიან ეჩარება, თეკლიამა თქვა: მამაჩემი ხვალ ქირაზე უნდა წავიდეს, ფეხებზე წინდები არ აცვი-აო და ბებე იმიტომ აშურებსო.

საწეალი ბებე! როდის უნდა მოქსოვოს! ზარმაცი თეკლია ხომ არ უშველის, სულ დედოფლებს გაჭხიდავს, სხვა არაფერი აჯავრებს, იმის ხელში საქმეს ვერა ჭნახავ. მემანც ვიცოდე ქსოვა, აქამდე კი არ ვალოდინებდი.

მეშველხა. ძაღვ მოვრჩებოდით და ვახშამსაც კემბრი-

ელათ განსლებოდით. არ შემერგებოდა თუ?
ახლა კი ლამის შიმშილით გული წამივიდეს.

III

შუაღამე გადასული იქნება. კერძოზე ცუცხლი ჩაქრა.

ჭრახი სომ ბებემ დაწოლის წინათვე მოასვენა.

დაღალული ბებია ტასტზე ძველ სანან ქვეშა სვრი-
ნავს, თეკლიაც ბებეს მიჰკვრია გულში, ხელები დამჰკანარ
ძუძუებში ჩაუყვია. მსოფლით ჩვენს ნაცნობს ციცუნიას არა
ძინავს.

არც რწეილსა ძინავს. კალიასავით დასტის თეკლიას
ლოგინში.

არც თაგვსა ძინავს; — გოდრის ძირში რაღაცას აფ-
საკუნებს, ჭსრავს, აკნატუნებს.

— რატომ არ დაუძინია ციცუნიასა? რა ფიქრებშია
გართული?

— რა დაძინებს გენაცვებ, ეველამ რომ დაიძინოს,
ხასლს ვინღა უყარაულოს?

განა არ ესმის გოდორ ქვეშ რომ ვაღაცა აფსაკუ-
ნებს, — ერთიც ვნახოთ გამოძვრა.

კიდევ რა არ აძინებს?

— საქმე, სომ მოგესხენებათ, რა მოსაქმეა, ღმერთმა
ჩუ დაგილიოსთ მაგისტანა მშრომელი!

— ამ ბების სვრინიც არ მაძინებს, როგორ სტვი-
რივით უკრავს ბებე ამ ცხვირით, ფიქრობს ციცა, ჰატა-
რა ბამბა დაუცო?...

ეს დალოცვილი თაგვებსაც აფთხობს. აბა, რაკ სმა-

ურობასე თავს რა გამოიყვანს შაბითა. მგონია ეგონოს კატების ლაშქარია ჩასაფრული. მეც ასე უნდა ვიჯდე, თვალი და გული ჩამოვიწუალო მოლოდინითა. ვიცოდე მაინც, ბებემ რა უეც ნაქსოვი წინდა.

გრესას რო მოჩხა, წინდაც შეაბა და მგონი ერთს ტერფს (თათს) ქუსლი და აქვს გადასახვევი. საწუალი ძალიან დაიდალა. ვინ იცის მოასწრებს მოქსოვას? მოსაქსოვი რო დარჩეს, სომ თეკლიას მამას ფეხები დაემრება ამ სიცვიეში. ვიზოვო და მე ვქსოვო? ვერ მოქსოვ? — რა დიდი საქმეა, გავერთობი კიდევ, ბებესაც გავასარებ, ადგება საწუალი, ჭნახავს მოქსოვილია ტერფი, ქუსლი გადუხვევიათ, გაიკვირვებს. მგონი საწუალმა იფიქროს, ალბათ წუხელი ძილში თუ მოექსოვეო.

არა, თუ არა ვქსოვე არ იქნება.

IV

წამოდგა ციცუნია, გაიხმორა, წინა ფეხები წინ გა-
მოჭიმა, უკანები უკან გაზარჭყა, ერთიც დაამთქნარა.

— ბნელა, იქნება თვლები ჩამიცვინდეს, სანთელი მა-
ინც ენთოს.

არა, ჯერ ვიზოვო წინდა, მგონი აქ შეინახა.

ციცა მივიდა სოკერთან, ჩაიხედა, ჩაუო ფეხი, იქ არაფერი იყო. მერე ბებეს იქით გადაძვრა. ბალიშ ქვეშ ნაქსოვ წინდას კვერდი უჩანდა.

— აქა ეოფილა, კარგია! მოჭნვია წინა ტოტები წი-
ნდას, გადმოითრია ძირს, დაუჯდა საქსოვათ.

ეზრემის ციცა, ატრიალებს, ჭსუნავს, როგორღაც არ



Johannes Adam München 1852

Handwritten text and a purple circular stamp at the bottom right corner of the page.

ემბრჯვება, ეს წინდისჩხირები უშლის.

მეც ამით უნდა ვქსოვო? ფიქრობს კატუნი, ბებე ამე-
 ებით არა ქსოვს? არ იქნა, ვერ დაიჭირა კლანჭებში გა-
 ლესილი ჩხირები, სულ ხელიდან უძვრებიან.

— ეჰ, ტყუილათ მიშლიან, ჯობია გამოვამტო ეს
 რაღაც ჩხირებია.

— აი, ახლა ადარბაფერი მოუშლის, ახლა ჩქარა მო-
 ქსოვს.

ჩაჭჭიდა ციცამ წინდის თავს კბილი, აიღო მადლა, მერე კლანჭებით დაიჭირა, გადააქვს და გადმოაქვს იქით და აქეთ ეს თათი, როგორც ბებე შვრებოდა, თან მეტის სიფიცხით მადლა ისვრის და ეტანება. საითკენაც თათი გადავარდება, ისიც იქით ტრიალებს, ხან სურგსე, ხან კუდის თავსე, თან გორგალიც გორავს, ძაფიც იწეწება.

ახლა გორგალს ეცა, წააჯდა სევიდან; გორგალი გა-
 გორდა, გაჭევა ციცამც. გააქვს და გამოაქვს. ხან ტასტ
 ქვეშ შეაგორა, ხან გოდრის უკან გადიტანა. უეურებს ცი-
 ცა, რომ გორგალი იღევა უხარია.

— ოჰ, რა ჩქარა იქსოვება წინდა, ჰხედავ მთელი
 გორგალი შეაქსოვა. მხოლოდ ეს ძაფები რად არის გა-
 ბმულ-გამობმული ამ ტასტის ფეხებში. იქნება დარჩა ქუ-
 სლსა? ვნახოთ გადისვია?

— ახ, ეს უძადური თათი, თითქო წედან უფრო გქე-
 ლი იყო, როგორ დამოკლებულა.

დაუჯდა ისევ ტერფსა. ეტეობა შეჭმლია.


ჩაჭკიდა ძაფს ჰიჩი, ტერფი ფესებით დაიჭირა, ეწე-
ვა ძაფს, ფთხრიალებს თათი, ძაფი უბევრდება ციცუნას.
ტერფი თანდათან ხელიდან უქრება.—რა ვქნა ეს ტერფი
სად მეზარება, რა ეძმაკსე შემჯდარა!

—ახლა კი მეც დავიღბლეო, თქვა ციცამ, დროა
მეც მოვისვენო, დილასე ადრე ადგომა მომინდება.

შემოუწვა ჩვენი მშრომელი თავის ხელ-საქმეს კვერ-
დზე, ბებესავით თავით დაიდო წინდა.

დილით ბებეს წინდა უეჭველათ მოქსოვილი დაჭ-
ხვდებოდა, არა?

თ. რაზ-კაშვილი



მამალი რას ყვირს?

(სალსური)



ვეენის სიბრალეულით გულ-ავსებულნი მაცხოვარი მიბძნდა ერთსელ ტბის ზირათ და მეთევსეები ნახა: ზოგი ახალ ბადესა ქსოვდა, ზოგი ძველს აკერებდა და ზოგიც მსარ-თემოს იყო წამოწოლილი კიდევ.

გუნებაზე ვერ იუვენ: მთელი და-

მე ენადირათ და ვერა ემოვათ რა!—სელი გადგომოდათ!..—შეებრალა საწელები ქრისტე-ღმერთს და ერთ მათგანს უბძანა: „სვიმონ-ჰეტრე!—ადე ზეზე, ეგ შენი ნაჲვი ნაპირზე მოავენე, ჩაჯდეთ და ტბაში შევცუროთო“. მეთევსეს გაუკვირდა და ჰკითხა: „ზირველათა ვხედავთ ერთმანეთს და რა იცი, რომ მე სვიმონი მქვიაო?“—მაგას რა დიდი ცოდნა უნდაო?.. შენ სვიმონი გქვია და მამა შენს ივანეო... ჰეტრე კი მე დაგიძახე მეტ სახელათ, რადგანაც სიტყვა „ჰეტრე“ ქვას ნიშნავს და შენც ქვასავით მაგარი ხასიათის კაცი ხარო!“ შუაში რომ მივიდენ, შეაჩერებია ნაჲვი და უბძანა: „აბა აქ დაჰკვრათ ბადეო!“—

„რა ბმანებააო — უზასუხა მეთევზემ — წუსელი აქ არ გახლდითო?.. გათენებამდის ჩვენ თვალს რული არ მოჭკიდებია, ბადეები დაგკლიჯეთ და ეს ოხერი თევზი ისე გამწევარა, რომ, ერთი ჭიჭყინა რა არის, ისიც ვერ ვიშოვეთო“. — ეგ შენი საქმე არ არის!.. შენ რჩევა დამიჯერე და მაშინ ნახავ მოხვდება თუ არაო“. მართლაც ჩაუშვეს წყალში თუ არა, ბადე გაიტყენა თავამდი. მეთევზე ველარ მოერია, რომ გამოეთრია ბადე და ამხანაგებს დაუძახა: „მიშველეთო!“ გამოიტანეს ნაპირზე სავსე ბადე და ორი ნაგი აავსეს ჰირ-წმინდათ ნანადირევით. — მეთევზეებს გაუკვირდათ: ეს ვილაც სასწაულთ-მომქმედი უნდა იეოსო და თავჯანისცეს. ქრისტემ გაიცინა უღვაშებში, — ვენაცვალე იმის სიცილს — და უთხრა: „რა ცოტა რამ გაგკვირებიათო. წამომევეთ და თევზებს კი არა გაცვებსაც ბევრს დაგატყერიებთო“. მეთევზეებს გაენარდათ და მიაძახეს: „გვიანლეთ შენი ჭირიმეო“ და აედევნენ. მასუკან სადაც კი მიბმანდებოდა მაცხოვარი, ისინიც თან დადევდნენ. ბევრი სასწაულები ნახეს და შეუუვარდათ მოძღვარი. — აღარ მორდებოდნენ!..

ვნებათა კვირე რომ დადგა, მოძღვარი მოწაფეებს გაენდო და უთხრა: „ჩემი ტანჯვის და სიკვდილის დღეც მოახლოვდაო. ერთი თქვენგანი გამეიდის — გამცემსო. მე რომ დამიჭერენ, თქვენც შეშინდებით და აქეთ-იქით გაიქცევით... გაიფანტებით, მაგრამ არაფერია, მე ამოვალ საფლავიდან და ისევე მოგიერთით თავს და შეგაერთებთო“.

ჰეტრემ უზასუხა: „რას ბმანებთ, ჩვენში მაგისტანა ვინ იქნება, რომ შეშინდეს და გაიქცესო?“

— ჰირველი შენო!.. შენ ხომ ჰირდაპირი და გულ-მა-

გარი კაცი სარ და „ჰეტრეც“ მიტომ დაგერქვაო. გასაჭირს რომ ნახავ, შენც კი გადრეკები და სანამ მამალი ორჯელ დაივიწყებდეს, სამჯერ უარ-მეოფო!“ იმ ღამეს მართლა შეიპყრეს ქრისტე. ჰეტრემ მხვილი ამოიღო და უური ჩამოთალა მალხაზ ურიას. ქრისტემ დაუძალა ჰეტრეს ჩხუბი და ისევე გაუძთელა ურიას უური!..

„მალაზე თუ მივარდა საქმე, ცა და ქვეყანაც ვერ მოძერევა, ჩემ სელთ არისო, მაგრამ აქ სულ სხვა საქმეა და უნდა დაგნებდეთ“. ბძანა მოძღვარმა, როცა შეიპყრეს და მღვდელმთავართან წაიყვანეს. მოწაფეები შეშინდენ და გადაცვიდნენ. — მხოლოთ ორი მათგანი აედევნა უკან და გაჭყვა: ივანე და ჰეტრე. — სასახლეში რომ მივიდენ, ივანე როგორც კი ნაცნობი, შეუძვეს სახლში, მაგრამ ჰეტრეს კი ბჭისკარი დაუგეტეს და გალავანს გარეთ რჩებოდა; შეესვეწა მეკარეს: „მეც შემიშვიო“. მაშინ მეკარემ ჰკითხა: „რა მოგარბენიებს? მაგისი მოწაფე სომ არა სარო?“ — „არაო!“ — უთხრა ჰეტრემ. — სანამ სასახლეში ქრისტეს ასამართლებდენ, ჰეტრე ესოში იცდიდა, ცეცხლის ზირათ იჯდა და თბებოდა. — აქაც ვინღამაც ჰკითხა: „შენ როგორც გეტყობა, მისი რამე უნდა იყოფო?“ არაო! ვერც კი ვიცნობო!“


— ბოლოს, ქრისტე რომ გამოიყვანეს და მეორე მღვდელმთავართან წაიყვანეს, გაჭყვა. ერთი ურია მივიდა და ჰკითხა: „შენ ის არა სარ ჩემნათესავ კაცს მალხაზს, რომ უური ჩამოთალეო?“

— შეეშინდა და უარზე დადგა. ამ დროს მამალმაც დაივიწრო: „ჰეტრემ — უარ-ყოო!“ მოაკონდა საბრალოს ქრისტეს სიტყვები და შამოიკრა თავში სელი, ეს რა მო-

მივიდაო... დაიწყო ტირილი, გაიჭრა გეჟივით. აღარ იცოდა რა ექნა. გარბის და ძამლები კი მიჰქვიან „ზეტრემ -- უარ-ყოო!“, „ზეტრემ -- უარ-ჰყოო!“ „ზეტრემ -- უარ-ჰყოო!“ აღარ იცოდა რა ექნა. თითქმის თავის მოკვლაც უნდოდა, მაგრამ ამ დროს ყვინჩილებმაც დაიძახეს: „შე-ინა-ნააა!“ „შე-ინა-ნააა!“ „შე-ინა-ნააა“ო. ზეტრემ ეური მოჰკრა და გამოფხიზლდა. ჰჩანს უზატეებია ღმერთს ჩემი შეცოდებო!.. დაემსო ზირქვე სათაყვანოთ.

ძას შემდეგ ყოველ ღამ ბნელაში ძამლები დღესაც კიდევ იძახიან: „ზეტრემ -- უარ-ჰყოო!“ო!.. მაგრამ, როცა ყვინჩილებიც დაიძახებენ ხოლმე: „შე-ინა-ნაააო;“ თენდება და ქვეყანას ნათელი ეფინება.

აგაკო





ილოს ოცნება

ემოდგომან, ცა ჟინჯლავს
 სედ ქარი ერთვის წენართა.
 მთა გახვეულა ღრუბლებში,
 ნისლის ბუდია ბართა.
 აღარ მოსჩანან შორს მწვანისა:
 ტურფათ მოსილი ქედები;
 აღარსად გვრიტი, ქედანი
 აღარსად მინდვრის ტრედები.
 გუნდი შოშია-მერცხლების
 სოფლებში აღარ გალობენ,
 აშლილან წეროებიცა
 და ცაში მიეიალობენ.
 მიფრინვენ სამსრეთისაკენ

გულდაწვევტილი კივიან
 ბატებიც დაბლა მისდევენ
 და მწარეთ მიეივიან...

ველარც სად ვხედავ ბავშვებსა
 ერთმანეთს დაშორებთან;
 საბძლის წინ, კალოს ზირებსე
 ნაკლებად იკრიბებიან.

ახლა სახლებში გიჟობენ,
 იკლებენ ჟრიაბულთა;
 სათოვლეთ ემზადებიან
 ცივით და თხილამურითა...

მოსწეინდა ილოს შინ ჯდომა

გული უფრინავს კარეთა,
 მაგრამ არ უშვებს მას დედა
 და ოხრავს ცელქი მწარეთა.
 დღეს სომ ვერ გავა ესოში,
 არც იმედი აქვს ხვალისა,
 ხელში აიღო ძმის წიგნი
 და მითი მოიხალისა.

ფურცვლა დაუწეო, ნახა შიგ
 მან სურათები მრავალი,
 უნდა გავიგოს ამბავი
 მათი თავ-გადსავალი;
 მაგრამ არ იცის ჯერ კითხვა,
 დაფიქრდა, დანადგლიანდა:
 რათ არ მამლევენ სკოლაში,
 სომ სწავლა დამიკვიანდა!
 სთქვა და მიუცა ოცნებას
 აგერა სკოლა, სტოლები,
 ერთადა სსედან სწავლობენ
 ისა და მისი ტოლები.

ხან კითხულობენ, ხან ჰქუერენ,
 სოკჯერ ერთადა მღერინან,
 ვინ ვის გაასწრებს სწავლაში



Bowlzy.

ერთმანეთს ეჯიბრებიან...
 კითხულობს ილო სძა-ძაღლა,
 შეენიერეთ იტესს ენასა
 და უხარია, რომ მშობლის
 გულს ამით ჭმატებს ღსენასა.
 მოღალა კითხვამ, დაიდვა
 წიგნი მუხლებზე ილომა
 წინართ მოჭებერა ნიავი
 ესოძი კაკლის ჩრდილომა;
 მაგრამ ჩუმათ ზის კვლავ ილო
 კითხვისგან დაოსებული...
 ამას რას ვსედავ დედილო?
 იმანის გაოცებული:
 ერთი უეურე ამ ჯოჯოს,
 აქ სად მოსულა ვერანი!
 ე კისერ გძელა რაღაა?
 ეს სომ არ არის მერანი,
 ზღანრათ რომ ამბობს მის ქებას,
 ვოველ ღამ-ღამე ბებია...
 ამ ფრთიან გოგოს რაღა სურს,
 თავზე რომ დამჩერებია.
 ე ვიღა არის ჯოჯოზე?
 ეს ვიღა გაგიკებულა,
 არ ეძინია კბენისა,
 ზურგზე რომ შესკუპებულა?!
 აგერა რაშიც... სედ რომ ზის
 ისიც უთუოთ გძირია,

რას ერჩის საწვალ ღამურას,
 შუბით რათ გაუგმიროს?
 ჯოჯო მოეკლა მანცა
 ეს მაიძახი, წვეული,
 რომ მოსვენებას არ მამღვეს
 ჭირივით შემოჩვეული?
 ეველანი ვნახე კარშემო,
 მაგრამ ეჭ ფინა კი არა;
 საბრალო ცუგოს, ვინ იცის,
 დღეს არა უჭახია რა?
 წა ტუგრი, ტუგრი, წამო შინ,
 უძახის განხრებული...
 წამოდგა, წიგნი გავარდა
 და დარჩა გამტერებული
 რა ვეღარ ნახა ეველა ის,
 რასაც აქამდის სედავდა,
 ვერც ასერსებდა დაჯდომას,
 ვერც დაევირებას ბედავდა.

მ ა ა ტ ა

(ქიზიყში გაგონილი ლეკენდა)



ოფელი ბოდბე, სადაც პაატა ცხოვრებდა, დიდ შეძლებულ და მდებარობით შემკულ სოფელს წარმოადგენს მთელ ქიზიყში. მაღალ ქედზე გაშენებული ბოდბე ამაყათ ვაცქერის იერისა და ალაზნის ველს და ძირს მდებარე ქიზიყის სოფლებს; აქაური ცისა და არე-მარის ყურებით კაცის თვალი ვერ გაძლება. ამ სოფელმა თვისი სახელი მიიღო წმინდა ნინოს დროს, როცა იგი აქ ქადაგებდა. თურმე აქაურს მცხოვრებლებს აჩაფრათ მოწონდათ წმინდა ნინოს ქადაგება და ამბობდნენ: „ნეტა რას ბოდაეს და ცხვარივით „ბე“ს გაიძახისო“.


აქედან ვითომც სოფელმა მიიღო სახელი „ბოდბე“. ბოდბელები თუმცა პირველათ ღვენიდენ წმინდა ნინოს, რომელიც იმათ შიშით ეკლოვან ბარდებში იმალებოდა, მაგრამ შემდეგ მის სიკვდილისა ბოდბელებმა იწამეს წმინდა ნინო, თავიანთ საკუთარ წმინდანათ ჩათვალეს, მის საფლავზე ტაძარი ააშენეს და თითონაც ყმათ გაუხდნენ. იმ დროდან დაწყებული ბოდბელები წმ. ნინოს საეკლესიო გლეხებათ ითვლებოდნენ. მიტროპოლიტი ივანე ბოდბელის დროს, რომელიც განაგებდა წმ. ნინოს ტაძარს და მის საკუთრებას, ბოდბის მამულების საზღვარი მდ. იერის ვალმა განჯის საზღვრამდე მიალწედა. დროთა ვითარებისა გამო ბოდბელების აშენებული წმ. ნინოს ტაძარი გადვიდა სხვების ხელში. თუმცა აქამდის წმ. ნინოს მონებათ ითვლებოდნენ ბოდბელები, მაგრამ ახლა იქ ვეღარ დაიარებიან სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო და ამით თა-

ვიანთ სალოცავათ გაიხადეს „მთაწარ-ანგელოზი“, „თეთრი წმინდა გიორგი“ და „ალავერდი“ მიდიან შორს ამ წმინდანების ტაძრებში და იქ გაჭირვებულები ევედრებინან მათ შველას და ღმერთს.

აი, ამ სოფელ ბოდბეში ცხოვრებდა გმირი პაატა, რომელსაც ლეკებმა შავი ფერისა გამო „კარა“ უწოდეს. კარა, ანუ შავი პაატას დროს დიდი შიშინაობა იყო მთელ კახეთში. დაღისტინიდან გამოდრიოდნენ ლეკები, ეცემოდნენ კახეთის სოფლებს და უღმერთოთ იკლებდნენ: სოფლებსა წვედენ და ხალხიც ტყვეთ მიჰყავდათ. შეშინებული ხალხი ზოგი მთაში იმალებოდა, ზოგი ეკლესიის გალავანში და სამხრობებში და ზოგნიც ციხე-კოშტებში. ლეკები კი ქართლშიაც ნაფარდობდნენ, არამც თუ მარტო კახეთში. ქართლიდან იყო, რომ მოიტაცეს ქსნის ხეობიდან აზნაური დავით გურამიშვილი, ტყვეთ წაჰოყვანეს და შემდეგ ბევრი წვალებისა ძლივს გამოიპარა— ბევრი უბედურება გადახდა თავს და ბოლოს, როცა განთავისუფლდა ნიჭიერათ აწერა თავის თავ-გადასავალი და ბევრი საგულისხმიერო და უკვდავი ლექსებიც დაგიწერა. კახეთიდანაც ხომ ლეკებმა თავადი დავით ჭავჭავის სახლობაც დაიტაცეს და ბევრ დავიდარბას შემდეგ ძლივს დაიხსნეს. ქიზიყზედაც ხშირათ ნაფარდობდნენ ლეკები, მაგრამ პაატას სოფელ ბოდბეზე ლეკები მაგრე ადვილათ ვერ ბედადნენ შესვლას. ბოდბის მაღალ ადგილას, ბალანთ უბანში, პაატას საყარაულო ჰქონდა გამართული და თოფიარალით გაწყობილი არწივივით გაიმზერდა აქეთ-იქით, რომ ლეკები არ შემოჰპაროდნენ სოფელში. სოფლის აღმოსავლეთით და დასავლეთით პაატამ კარებიც კი შეაბა, რომ უფრო უშიშრათ ყოფილიყვნ.

პაატა თავის სახლობით გმირულ ოჯახს წარმოადგენდა. როცა პაატა საომრათ გამეგზავრებოდა, ცოლი მისი შეენიერათ და მკვიდრათ შეკაზმავდა „ობოლა“ ლურჯა ცხენს: პაატა თავის ცხენს „ობოლას“ უწოდებდა, რადგან შინ ხელზე გაზდილი ჰყავდა კვიციანი. პაატას დედა და ძმაც ძრიელ შველოდნენ მას გაჭირვებულ ბრძოლის დროს. ერთხელაც ლეკები შემოჰპაროდნენ ბოდ

ბეში პატას აღმოსავლეთის კარებიდან, ბოლოს რა გაუგო პატამ, თვის დედას და ძმას მიცა თოფები; მოუარეს უკანიდან ლეკებს, დედა და ძმა თოფებს ისროდენ, პატა კი ყარამანის ხმით დაჰკიოდა. ლეკებს ეგონათ უკანიდან ჯარი მოგვადგაო და გაიქცენ, პატამ მოასწრო იმათი ბელადის მოკვლა და თავი მოჭრა. კარგათ ველარ ბედავდენ ლეკები ბოდბეში შემოსვლას, მაგრამ ბოლოს კადევ შემოიპარენ უკანა კარებიდან. ბოდბის განაპირას დაცულ ტყესთან სოფლის პატარა ბიჭები ერთათ თამაშობდენ, მათ შორის პატას ძმისწულიც ერია – ლეკებმა პატას ძმისწულს ხელი სტაცეს, ცხენს უკან შემოისევს და გააქანეს. მალე შეიტყო



ბოდბეს მონასტერი

პატამ, მოაჯდა რა თვის ობოლას, გამოუდგა, დაეწია და მიამხა: „ივანე, გვერდზე გადიწიო“. ივანემ რა იცნო ბიძია პატას ხმა, გაუხარდა და გვერდზე გადიწია. პატამ უკანიდან თოფი ესროლა წინა მჯდომ ლეკს, მოარტყა და გადმოაგდო ცხენიდან. ძმისწული გამოიხსნა, შინ მოიყვანა და გაახარა სახლობა, პატა არა მარტო თვის სოფლელ ბოდბელებს ჰშეელოდა, არამედ სხვა სოფლელებსაც ვისაც კი გაუჭირდებოდა ლეკებისგან, მაშინვე პატას მიჰმართავდენ საშველათ. ერთხელაც ბოდბის მეზობელ სოფლის ოჯახისშვილს

ლეკებმა მოტაცეს ახლათ მოყვანილი პატარძალი; აფრინეს მაშინ-
 ვე პაატასთან კაცი, ისიც მივიდა გამზადებული ლეკებზე გასალა-
 შქრათ. ბრძოლის ქინზე მოსული პაატა სულ კბილებს აკრატუნებდა
 და ტანში ათახთახებდა. ერთმა იმ უბნის დედაკაცმა რომ შენიშნა ამ
 მდგომარეობაში პაატა, თქვა: საწყალს აქავე გაცივია ლეკების ში-
 შით და იქ რაღას იზამსო“. -- პაატამ პასუხი არ მიცა და მხოლოდ
 დაიხსომა იმ დედაკაცის სიტყვები. პაატას აჩვენეს გზა, საითაც ლე-
 კებმა მოიტაცეს და წაიყვანეს პატარძალი, გამოუდგა პაატა თავის
 „ობოლათი“, მალე დაეწია. პატარძალი წაართვა ლეკებს და სალა-
 მოს პატრონს მოჰგვარა სოფელში. იმ დედაკაცს, რომელმაც ღი-
 ლას დაცინა, პაატამ ერთი ბაღდადი აჩუქა და უთხრა: ახლა ხომ
 მიხვდი რათაც მათახთახებდა, დედაო“... დედაკაცმა ღიღი მადლობა
 უთხრა პაატას, აგრეთვე ოჯახის შვილებმაც ღიღის ამბით გამოისტუმ-
 რეს პაატა ბოდბიდან. ბევრისთვის უშველია პაატას და ლეკების
 ტყვეობიდან გამოუხსნია და იმ დროს მეფე ირაკლიდანაც ბევრჯერ
 საჩუქარი მიუღია. ერთხელაც პაატა თავის ძმით ქ. თბილისს მი-
 დიოდა. გზაში შემოჰხვდნენ ლეკები, რომელთაც ქალაქიდან დაჭე-
 რილი ტყვეები მიჰყავდათ. ძმას თოფი მიცა პაატამ, ისროლეო,
 თითონ ყარამანის ხმით დაჰკიეღა მათ -- შეშინებული ლეკები გაი-
 ქცნენ და ხელებ-შეკრული ტყვეები იქ დაარჩინეს. პაატა მივიდა ხელ-
 ები გაუხსნა და ქალაქში ჩამოიყვანა. ირაკლი მეფემ გაიგო ეს და თა-
 ვისთავთან იხმო პაატა და ჰკითხა: რასა მთხოვ, რომ გაჩუქოო.? პაატამ
 თხოვა: რაც მე მარილის ქვას დავძრამ, მაჩუქეო.“ ირაკლი მეფემ
 აუსრულა თხოვნა და პაატამ ოცამდის მარილის ქვა აიკიდა და წა-
 მოიღო ბოდბეში. ერთხელაც ლეკის ჯარი დაესხა თავს ირაკლი
 მეფის ჯარს. ლეკების ჯარიდან გამოვიდა ბელადი და ითხოვდა ქართვე-
 ლებიდან მეომარს. პაატას მეტმა ვერავენ ვაბედა ლეკების ბელადთან
 საბრძოლველათ გასვლა. შეჯდა რა შეკაზმულ „ობოლასზე“, ხმალ-
 თოფ შეიარაღებული, პაატა გავიდა ბრძოლის ველზედ, ესროლა
 თოფი და გადმოაგდო ურჯულო ცხენიდან. ირაკლი მეფეს ძლიერ
 გაეხარდა, მიიხმო პაატა და ჰკითხა: რასა მთხოვ, პაატა,
 რომ გაჩუქოო? -- ცოლი გამომიცვალეო. უპასუხა პაატამ.

თურმე პაატას ცოლი შეეგვრემანი და ქაჩალი ჰყავდა და არ მოწონდა მას. ცოლის გამოცვლაზე ირაკლი მეფემ უპასუხა: აბა, ეგ როგორ შეიძლება, ჩემო პაატა? ეკ შენ როგორი შეენიერი წვერულვაში გასხია და მე-კი შენზე უხეიროო. განა შეიძლება მე და შენ წვერულვაში გავცვალოთ ერთმანეთშიო? როგორც ამის გაცვლა არ შეიძლება, ისე ცოლისაო. შენ ისევე სხვა რაიმე მთხოვე და ავისრულებო“. პაატამ სხვა არაფერი თხოვა და გაბრუნდა შინ დაღონებული.....

დიდ ხანს აღარ გაუელია; ლეკები დამშვიდეს, ჩამოვარდა მყუდროება. ხალხი ამას გრძნობდა. დადარდიანდა პაატა: რალა იქნება ამას შემდეგ ჩემი ეაჟ-კაცობა, სადლა გამოჩნდება ჩემი გმირობა; ჩემი ბასრი ხმალი და იარაღი? ისევე სიკვდილი მიჩვენია სიცოცხლესაო?“ამისთანა მწარე ფიქრებმა დიდხანს აღარ აცოცხლა პაატა და მალე თანაც გადიტანა. დარდმა მოკლა პაატა, მაგრამ შისი სახელი უკვდავი დარჩა ქიზიყში და ნამეტნავათ სოფელ ბოდბეში.

თ. ბაკურციხელი.






გაზაფხულის მზეს

სალამი, გაზაფხუ-
 ლის მზევ,
 თოვლ-ყინვის გამქა-
 რწყლებელი,
 ზამთრით დაჩაგრულ
 ბუნების
 ხელახლავ გამცოც-
 ხლებელი,

სულიერთა და უსულოთ
 მანეტარ-მამებელი,
 გაჭირვებულთა ნუგეშო,
 მუშაკთა გამხნეებელი!..

დუბუ შერედი



პირველი ცნობები ბუნებაზე

(პოლ ბერიდან)



ბა, ნუ დავივიწყებთ ჩვენ ქვასაც, ვნახოთ ქვა რაღას შერგება. მაგრამ რა, ქვას რა ნახვა უნდა, ქვისა არა მედარღება-რა, როგორიც იღვა ჩემს მაგილაზე, ისეთივე უძრავი და უცვლელი ძეგს, გავლენ წელიწადები და მთელი საუკუნოები და თუ რომ არაფერმა არ დაუშალა, ჩემი ქვა ისევ ისე იღება ერთს ალაგს ყოველად უფნებელი. ქვა არც ბერდება, არც კვდება, იმიტომ რომ არც ცოცხლობს და რაც არ ცოცხლობს, იგი არც კვდება. ისიც ყველამ ვიცით, რომ ქვა არც იზადება-იშობება. აბა, ვის გინახავთ, რომ ქვა კურკიდან ამოვიდეს და ან კვერცხიდან გამოიჩეკოს. ამისთანა სასწაული ქვეყნიერობაზე ჯერ არ მომხდარა და არც მოხდება თავის დღეში.

აი, ახლა, როდესაც გავიცანით ქერამის და ჩიტის ცხოვრება და როდესაც ვიცით, ქვა რა საგანიც ყოფილა, ახლა აშკარათ ჩანს, რომ ყოველივე, რაიც გარშემო გვარტყია და ბუნებაში მოიპოვება, ორ დიდ განყოფილებას შეადგენს. პირველ განყოფილებაში მოთავსებულ არიან ცოცხალი არსებები, ხოლო მეორე განყოფილებას შეადგენენ უსიცოცხლო საგნები, ბუნების ამ გვარათ გაყოფას მეცნიერული ენით კლასიფიკაცია ეწოდება.

ყველასათვის ცხადია, რა საშინელი განსხვავებაცაა ჩიტს და ქვას შუა. ამიტომ დავანებოთ თავი ქვას და საზოგადოთ ყველა უსიცოცხლო საგნებს. გვეყოფა მათზე ლაპარაკი. ჩვენ ისევ ცოცხალ არსებებზე ვიბაასოთ. ერთხელ კიდევ შევადაროთ ერთმანეთს ქერამი და ჩიტი, ანუ ვარდი და ბულბული, ნამდვილი შევითყოთ, რამდენათ გვანან ესენი ერთმანეთს.

თქვენ თითონ ძლიერ კარგათ იცით, რომ ვარდს, ანუ ქერამს.

მცენარე ეწოდება, ხოლო ბუღბუღს, ანუ სხვა რამე ჩიტს ცხოველი. მაშ აქედან ისიც შევითქვით, რომ ცხოველი არსებანიც ერთმანეთში განიყოფებიან—ერთს ნაწილს შეადგენენ მცენარენი და მეორეს ცხოველები. მაგრამ, აბა, ერთი მიპასუხეთ: რითი შეგვიძლიათ და რა ნაირათ შეგვიძლიათ მცენარენი ცხოველთაგან გაარჩიოთ? რასა-ვირველია, სასაცილო იქნებოდა, ვინც ბუღბუღს და ვარდს ერთმანეთში ვერ გაარჩევდა, რადგან ჯერ არ მომხდარა, რომ ვარდს ბუღბუღები და ფრთები შეესხას და არც ის მომხდარა, რომ ბუღბუღს ფოთლები და ყვავილები მოესხას. მაგრამ განა ყველა მცენარე ვარდია და ყველა ცხოველი ბუღბუღი? საქმეც ის არი, რომ ჩვენ ნამდვილათ დაჭეშმარიტებით ვიცოდეთ, რაში მდგომარეობენ განსხვავებული ნიშნები? რითი შეგვიძლია ვინიშნოთ და გა-ვარჩიოთ ცხოველი მცენარისაგან.

აგერ არც კი მაცლით სიტყვის დაბოლოებას, თქვენ ახლავე მეუბნებით, რომ ყველა მცენარე მწვანე ფერისაა, რომ მათ აქვთ ძირკვები (ფესვები) და შემკულნი არიან ფოთლებით და ყვავილებით. არა ყმაწვილო, მაგას ნუ მიბძანებთ. —მე თქვენ ახლავე გაჩვენებთ თეთრ სოკოს, რომელსაც არა აქვს არც ფოთლები, არც ყვავილები და არც ფესვები აქვს მიწაში წახული. მაგრამ ვითომ რაო, განა თქვენ შეგვიძლიათ თქვათ, რომ სოკო ცხოველიაო? სულაც არა, რადგან ყველასათვის მეტის-მეტათ აშკარაა, რომ სოკო მცენარეა და არა ცხოველი.

მაშ, აბა, მიბძანეთ განსხვავებული ნიშნები ცხოველთა და მცენარეთა შორის...

აი, თქვენვე დააკვირდით: აგერ ვარდი ქილაში ჩარგული, აგერ ჩემი ჭერამი, აგერ სოკო, აგერ სხვა-და-სხვა გვარი ბალანები ბუჩქები და ხეები. ესენი ხომ ერთი ერთმანეთისაგან ძრიელ განსხვავდებიან, როგორც მოყვანილობით და სადილით, აგრეთვე ფერის სხვა-და-სხვაობით, მაგრამ ყველას ამათ კი ერთი საზოგადო, ბუნებისაგან დადგენილი კანონი და წესი აქვსთ—არც ერთი მცენარე თავის ნებით ალაგვიდან არ იძვრის. რა ადგილსაც მცენარე დაიბადა და აღ-

მოცენდა იმ ადგილსე იზღება, იმ ადგილზედვე ჰყევას და თუ არაინ არ ამოთხარა და სხვაგან არ ვადარგო, მაშინ მცენარე იმე ადგილზე კედება, რა ადგილზედაც მცენარდება. მერე ლპება და ასუქებს იმე მიწას, საიდანაც იგი სიცოცხლის დროს საზრდოს წოვდა. ზოგიც ბულბულს, ან ჩიტს უყურეთ—ძალიათ თუ გააჩგრებთ, ან ძილის დროს თუ დადგება ერთ ალაგას, თვარა მთელი დღე მოუსვენრათ დახტიან და დაფრენენ. რა ჩიტი და რა ბულბული, აბა, თქვენ ციცუნისას უყურეთ, განა ეგ კი ერთ ალაგას ისვენებს, ხან თავის სოროს უდარაჯებს და ხან კიდევ სადმე მალლა ხეზე ავა, ტოტზე განაბება, თავს მოიკატუნ-მოიმკვდარუნებს, რა არის ეგებ ჩიტი კლანჭებში იგდოს და პირი ჩაიტკბოს. განა ბუზი კი ერთს ალაგს ჩერდება, ან წყალში თევზი განა ერთ ალაგზეა მიკრული, ზოგი თევზი ისე მარდათ დასრიალ-დაცურაობს წყალში, როგორც ფრინველი ჰაერში, არამც თუ ეს ცხოველები, აბა, ლოკოკინა რა სათქმელია, მაგრამ ლოკოკინაც კი მთელი დღე მოუსვენრათ დაცოცავს, თითქო რცხენიაო ღიღილო ბალახივით ერთ ალაგას გაჩერდესო. აი, ესენი ყველანი ცხოველები არიან, ყველანი მოძრაობენ, დადიან, დახტიან, დარბიან, დაფრენენ და დაცურენ. მცენარეებში კი არც ერთს ამ გვარ მოძრაობას არ ეხედავთ, რადგან ყველა მცენარე არას დროს თავის თავით და თავის ნებით ალაგიდან არ დაიძვრის და არსად წავა, მაშასადამე მოძრაობა არის თავი და თავი ნიშანი ცხოველებისა და მოძრაობით განირჩევიან ცხოველები უძრავ მცენარეთაგან. ერთი სიტყვით ცხოველი მცენარესაგან უმთავრესათ იმითი განირჩევა, რომ ცხოველი მოძრაობს და მცენარე კი არა.

სასურველია ისიც შევიტყოთ, რატომ არ დგებიან ცხოველები თავის ქერქში და ყოველ დღე რათ არიან განუწყვეტელ ფაციფუცში. აი, ჩვენ ახლავე დაერწმუნდებით, რამდენათ საჭიროცაა ცხოველთათვის მოძრაობა. მაგალითი ავიღოთ მცენარეთა ცხოვრებიდან. მცენარეს მაგრათ აქვს გაბმული ფესვები მიწაში, ფოთლებით ჰაერს სუნთქავს და თავისთვის საჭირო საზღოთ ნიადაგიდან წვენს წოვს ფესვებზე მოსხმულ ფოჩების შემწვობით.

აქედან აშკარათ ჩანს, რომ თავის გამოსაკებათ მცენარეთათვის მოძრაობა სულაც საჭირო არ არი. ერთი მიბძანეთ რაღათ შევიწუხო თავი, რილასთვის ავბტე-დავბტე და ვებტიალო აქა-იქა, თუ კი ყოველივე რაც კი გამოსაკებათ მესაჭიროება, აქვე მახლავს და მზა-მზარეულათაც მომივა. მაგრამ ცხოველების საქმე კი სრულებით სხვა არი. ავერ მიიხედ-მოიხედეთ, რა განუწყვეტელი მოძრაობა ბუნებაში: იქ თევზი ჭიას დვენის, აქ მერცხალი ბუზებს გამოდგომია, კატა ჩიტებს ეპარება, ქორს კრუხ-წიწილა დაუწიოკებია და საუზმეთ წიწილა მიაქვს. ყველანი კი იმიტომ იბრძვიან, რომ კუჭი მოსვენებას არ აძლევთ. გალიაში დამწყვედული მარტია საკენკის კალათამდე რო არ მივიდეს შიმშილით ფებებს გაჭიმაეს; ლოკოკინაც კი იმიტომ დაცოცავს, რომ კუჭი აწუხებს.

ახლა კი ჩვენ დავრწმუნდით, რომ ცხოველთათვის მოძრაობა მართლა და უეჭველათ საჭიროა, რომ საკმელი იზოვოს და თავი გამოიკვებოს. ჯერ შინაური საქონელი რა არი და ისიც კი ერთს ალავს, რომ ბალახს მოძოვს და გაათაეებს, ახლა სხვაგან მირბის, რა არი, მუცელი გაიძლოს.

თუმცა უმთავრესი მიზეზი ცხოველთა მოძრაობისა საზღოს შოვნა და კუჭის დაკმაყოფილებაა, მაგრამ ცხოველთა მოძრაობა სხვა მიზეზითაც მოხდება ხოლმე, მაგალითათ, ძაღლს რო ჯოხი მოუქნიო, ან საკბენათ მოგვარდება, ან გაიქცევა. კატას რო ალერსით დაუძახო, მოირბენს და მოგვხანუნება, კრუტუნს დაიწყებს და ზღაპრებს მოგიყვება. როცა მდინარეს უხანლოვებით თევზი ქვებში იმალება. ჭრელი პეპელა რამდენს გვაწვალებს ხოლმე, როცა დასაჭერათ ვდევთ. კურდღელი დაგინახეთ თუ არა თავგადაგლეჯილი, მირბის, თითქმის ყველა ფრინველმა იცის, რისთვისაც გაქვთ თოფი მხარზე ჩამოკიდული. ლოკოკინაც-კი როცა ფების ხმას გაიგებს, მაშინათვე შეიკრიბება ხოლმე თავის ბუდეში. ერთი სიტყვით ყველა ცხოველი ზოგი შიშით და ზოგიც ალერსით ყოველთვის შეგიძლიათ ალაგიდან დაძრათ, მაგრამ მცენარეს კი არც თქვენი შიში ესმის და არც ალერსი. აბა, სოკოს რამდენიც გნებავთ

თავზე ხელი გადაუსვით, ამით განა შეგიძლიათ მას სიაზონება აგრძობინოთ. ჩემ კერამის ხეს რამდენიც გინდათ ალერსიანათ უძახეთ, კმაყოფილების ნიშნათ ტოტებს როდი მოგიხრისთ, ან რამდენი ტოტიც გინდა მოაჭერთ, ამისთვის ჩემი კერამი არც გაწყურება და არც გაჯაერდება და არც ალაგიდან დაიძვრის, ასე ჩემო პატარებო. მცენარენი ყოველივე გრძობას მოკლებულნი არიან, იგინი არც ხედვენ, არც ყურთა სმენა აქეთ, არც მოწყენა იციან და არც მოლხენა.

ერთი სიტყვით მცენარე თუნდ რო ლუკმა—ლუკმა დაჰყუწოთ, მაინც ვერას აგრძობინებთ. აქედან ჩანს, რომ მცენარეს არა აქვს არც გრძნობა, არც მოსახსრება და არც სურვილი და ნება. ყველა ეს თვისებანი მხოლოთ ცხოველთა კუთვნილებას შეადგენენ. მხოლოთ ცხოველთ შეუძლიათ იგრძნონ, მოისახრონ და თავის სურვილი და ნება გამოიჩინონ.

ასე და ამ გვართ, ახლა ჩვენ თამამათ და ნამდვილათ შეგვიძლია ყოველივე სხეული ბუნებისა ერთი ერთმანეთიდან გვარჩიოთ.


მეცნიერებმა მთლათ ბუნების სხეულები სამ განყოფილებათ გაანაწილეს. პირველ განყოფილებაში მოაქციეს ლითონები, ქვები და ყველა უსიცოცხლო საგნები. მეორე განყოფილება შეადგინეს მცენარეთაგან, რომელნიც თუმცა ცოცხლობენ, მაგრამ მოკლებულნი კი არიან გრძნობიერებას, მოძრაობას და სურვილს. მესამე განყოფილებაში შეაგროვეს ცხოველები, რომელნიც ცოცხლობენ მოძრაობენ და გრძნობენ.

პირველ განყოფილებას მეცნიერებმა უწოდეს მანდიულთა სამეფო, მეორეს მცენარეთა სამეფო და მესამეს ცხოველთა სამეფო და ყველას ერთათ-კი ეწოდებათ სამი სამეფო ბუნებისა.

ამ ჩენი ბაასის დროს მე განგებ გაეჩუმდი იმაზე, რომ არიან სხვა განსაკუთრებითი ნიშნებიც, რომლითაც მცენარენი განირჩევიან ცხოველთაგან და რომელნიც დამყარებულ არიან მხოლოთ გარეგან მოყვანილობაზე და შეხედულობაზე. სოკოებს და მის გვარ მცენარეებს რო თავი დავანებოთ, აღმოჩნდება, რომ ყველა მცენარე პაწაწა ბალახიდან დაწყებული, ვიდრე უზარმაზარ ხეებამდე, რო-

გორც არიან მაგალითათ ნიგეზის ხე, მუხა და სხე. ამათ ყველას აქვსთ მწკანე ფოთლები, ტანი ანუ ლერქები, რომელნიც თითქმის ყოველთვის შემკულ არიან ტოტებით და ყველა ამას უნდა დაეუმატოთ ძირკვები და ფესვები, რომელნიც მიწაში არიან ღრმათ წასულნი. არც ერთი აქ ნათქვამი ნიშნები ცხოველებს არა აქვთ. ცხოველები სრულებით სხვა მოყვანილობისა და შეხედულობისა არიან, ერთი გარეგანი შეხედვით ჩვენ ვამცნევთ, რომ ცხოველებს აქვთ თავი, ტანი და ფესები. მაგრამ ყველა აქ ჩამოთვლილი ნიშნები ძლიერ ხშირათ შეიცვლებიან ხოლმე, როგორც ცხოველთა, აგრეთვე მცენარეთა სამეფოებში და ამიტომ, როცა გვინდა, მცენარე ან ცხოველი ვიცნოთ, უფრო უნდა უტყუარ ნიშნებით ვიხელმძღვანელოთ ხოლმე. როგორც ზევითაც ვთქვით: ეს უტყუარი უმთავრესი განსხვავებითი ნიშნები არიან: მოძრაობა და გძმობა, რომელნიც ბუნებისაგან მინიჭებული აქვთ მხოლოთ ცხოველებს და მცენარენი კი ამ თვისებაებს მოკლებული არიან.

ილ. კო.



ა რ ა კ ი

(სალამი გაგონილი)



რთი მოლხ ძლიერ ჰატვიით ინახვდა
 თავის კოხტა ვირს. ვირი გასუქდა, და-
 მრგვალდა და ისეთ ღონესე მოვიდა,
 რომ თავს ველარავინ უმაგრებდა. ვირს
 ბაგა აღარ მოეწონა, ჰატვი იცოტავა,
 გამაშარტავნდა, ავშარა აწევიტა, ტეუშათ
 წიხლები ეარა და კუნტრუშით ტეისკენ
 გავარდა. ტეეში ვირს მელა დახვდა.

ვირმა ეროეინი შექნა, მელიამ თავმდაბლათ სალამი მი-
 ცა. დიდუურამ ამაყათ თავი მაღლა აიღო და მელიას
 უბძანა: „ჩემი სწორი, აბა, თუ გეკულებ ვინმე, სიუმი-
 ზე ვარ და მინდა დავეჭიდო“. მელიამ მოახსენა: „მთე-
 ლი მიღეთი მომივლია და თქვენისთანა ახოვანი მე არ-
 ვინ მინახავსო, მაგრამ თუ ინებებთ მომევეით და, აი, იმ
 კორის დასწვრივ ერთი ვანმე მხეცი ვიცი და იქნება იმან
 კი გაბედოს თქვენთან ჭიდილიო“.

ვირმა სიამოვნების ნიშნათ ერთი ჰირი გუღიანათ
 იეროეინა. მერე თქვა: „ნეტა ვინა თავხედიო“ და მე-

ლიას სიბილით და კუნტრუშით მიჭყვავ. მელიამ იცუნ-
 ცულა, იცუნცულა და ლომის ბუნაკს მიადგა. შევიდა და
 ლომს მოახსენა ვირის ტრახახობა.

ლომი განრისხდა, გამოვარდა, ერთი კი ისეუჭა და
 ვირს ხმის ამოდება არც კი აცაღა, ქოჩორში მოაჯდა
 და იქვე კისერი მოუგრინა. ლომმა მსხვერპლს ტოტით
 თავი გაუმსხვრია. თურმე ნუ იტყვიო, ლომის საყვარელი
 ლუკმა ტვინი ყოფილა. მაგრამ ვირის თავის კოლოფი
 კი ცარციელი დახვდა. ლომს ეს ეწეინა, უარესათ განრი
 სხდა და ერთი ისეთი დაუბღვირა მელიას, რომ საწყაღი
 ძელა შიშით კინაღამ მიწაში ჩაძვრა. წადგა წინ მელია
 და მოწიწებით მოახსენა: შე, დალოცვილო, ცხოველთა ხე-
 ძმადიეო, მაკ მუტრუკს რა ტვინი ჰქონოდა, შენზე ამხე-
 დრდებოდაო?..

ილიო.



ბ ა ე ა ე ი

(თარგმანი)



აუშებო, რათ გეშინიათ, გეზისდებათ და გაურბინხართ ბაყაყს, ნაწვიმებს ტბიდან რო გამოვა სოლმე სველ ბალახსე სასტუნავათ და წმინდა, გამაგრილებელი ჭაერის ჩასაყლანავათ? მე გირჩევთ ხეზე მიუუდებს ჩუმათ და სულგანაბული იყოთ. ოდნათ რომ განძრეთ, ისიც ვძარა, რომ ბაყაყი აღარ გამოვიდეს და თუ გამოჩნდა, გაიგონებს თუ არა ხმაურობას, ჩქარი სტუნვით, სკუჭ-სკუჭით მიიძაღება თსრილში, ან ისევე ტბაში ჩასტება.

წვიმის დროს ბუნება მშვიდდება, ყველა ეძებს თავის ბუნაკს: კაციცა და ცხოველიცა, ჭიებიც ჩამვრებიან სისფულუროებში. აი, ვნახოთ, მზემ გამოაჭიტა, სეკაკუნა მოფრინდა ხეზე და თავის გძელი, მაგარი ნისკარტით აძოაქეს სისფულუროდან ჭია-ღუა, საცა მიძალულიყო წვიმის დროს. აგერ ბალახებში ზის ბაყაყიც, თქვენ ვერ შეამჩნიეთ, რადგან ბალახის ფერ ტანისაძოსშია გახვეული. შემოდგომით ფოთლები ყვითლდება. ბაყაყი ისდის მწვანე ტანისაძოსს და თითონვე ჭამს თავის სიფრიფანა

გახდილ კანს. არ უნდა დარჩეს ვისმე პისი კარგი მორ-
 თულობა და მიიღებს სოღმე მოწითანო ფერს. აი, და-
 ინახა ჰეპელა და გამოეკიდა, ჰეპელა აფრინდა, წავიდა
 ძაღლა-ძაღლა ჰეარში, თითქოს ბაეაეს უჩვენებდა თავის
 ხელოვნებას და ერთ წუთს შემდეგ ოდნავ-ღა მოჩანს შორს
 ჰეარში. აგერ სიდან ჩამოვარდა ჭია, ბაეაეი უცებ აივალ-
 ებ, სტაცა ჰირი და გადაულახა; ბაეაეს ამ მდგომარეობა-
 ში ვერ დააკვირდებოთ. ჰეაობს დაიჭიროთ. ჰხედავთ,
 რა რიგ უცემს შიშისგან საწეალს ჰატარა გუ-
 ლი. ფესებზე ბრჭეალები არა აქვს კატასავით,
 რომ დაგფხაჭნოთ; არც კბილები აქვს ისეთი მგარნი და
 ბასრი, როგორც ჩვენ მურიას, მაგარ ძვლებს რო დრდნის
 და თუ განბრაზეთ, თქვენც მწარეთ გიკებნთ. სრულიათაც
 არა. ბაეაეი თავის ჰაწაწინა ბავით იღებს საჭმელს და
 ჰელახავს დაუღეჭავთ.

ფრინველებს ტანი დაფარული აქვთ ფრთებითა და
 ბუმბულით, ცხოველებს მატელით, ბეწვით ან ჯაკარით,
 ბაეაეს კი ტიტველა, ლორწოიანი კანია. აი, ეს სიტ-
 ტველე, გაცივებული და გალიპული ტანი ბაეაეისა გვეგვის
 ჩვენ სიხდს; მაგრამ რათ უნდა შევიხიხდოთ, როდესაც
 ბაეაეი კი არას ავნებს კაცს, უფრო სარგებლობა მოაქვს,
 იმიტომ რომ ჰხოცავს კაცის ნათესის მხარალებელ ჭიებს და
 მწერებს. აბა, აივანეთ ხელში და გაძინჯეთ კარკათ, და-
 კვირდით.

წინაპირველათ თქვენდა უნებურათვე, მიაქცევთ ურადლებას იმის თვალებს, რომლებიც გადმოჰკიდებიან ჰტველთავს. თითონ ბაყაყი, სიძარტლე რა თქვას კაცმა, უმცგავსია, თვალები კი აქვს ჭკვიანი, საუცხოვო ბრჭვეილად და ოქროს ფერისა. ჰირი ძეგათ განიერი, ეურები — თვალებს უკან ჩაღრმავებულნი — გადაფარებულია კანით; ცხვირის ნესტოებსაც ძლივს შეამჩნევთ თვალების წინ.

ბაყაყს თევსსავით კისერი არა აქვს. საითკენაც თავი უნდა მიაბრუნოს, იქითკენ მთელი ტანით უნდა მიტრიალდეს. ტანი აქვს სქელი და იმოდენა მუცელი, რომ, როცა რითიმე გაიბერება, გორაობს მიწაზე გორგალივით. ზურგზე შეამჩნევთ მწვანე სახებს და მოშავო წერტილებს, დანარჩენი ტანი კი უფრო უბრწყინავს. უკანა ფეხები კბელი აქვს წინა ფეხებსე და თითები შეერთებული ისეთ ნაირათვე, როგორც ეველა ცხოველებს და ფრინველებს, რომლებიც მიჩვეულნი არიან წებლში ცურვას.

როგორც, რომ დაიწეება შემოდგომის ცივი დღეები და ფრინველები ნელ-ნელა მიეხიდებიან თბილ ქვეყნებში, ბაყაყიც უკლებს ჭამას, ანებებს თავს სტუნაობას და შეეფარება რომელსამე ჭაობს; — ან მდინარეს, გაიყინება თუ არა წელები, ჭაობები, ბაყაყიც შეწვევტს სუნთქვას, ჩავა ჭაობის ძირში, ჩაეფლობა ლექში და ესუთება სულიმთელ საძიარს.

გასაფხულსე მსე რა დათბობს არე-მარეს და გა-

მოიღვიძებს გაყინული ბუნება სანგრძლივი ძილისაგან, ბაყაყიც ამოდგრება ლექიდან და გამოცოცხლდება. მძიმეთ გაჭიმავს და გაისწორებს ფეხებს, გამოჭეოფს თავის ულამაზო ცხვირ-პირს და დაიეიენებს.. პირველის ეიეინის ხმას მოჭევა მეორე ბაყაყის ეიეინის ხმა, მეორეს მესამესი და აეიენდა მთელი გუნდი ბაყაყისა. გულის გამაწვრილებელი, დამაურეებელი და არა სასიამოვნო სიმღერის ხმა გაისმის კარგა შორს მანძილზე; კაცს არ შეუძლია, ეური მიუგდოს, როგორც ფრინველების ტკბილხმოვან გალობას და დაიტკბოს სმენა; უნდა მოჭმორდეს და სადმე შორს მიიძალოს, რომ აღარ გაიგონოს მათი უსიამოვნო ეიეინი.

ა კორკოტაძე



როგორ დაფრინავს ადამიანი ჰაერის ბურთით.

(რუბიკინით).



ედამიწაზე ბევრი ისეთი მთებია, რომელთაც სიმაღლე რაედენიმე ვერსი აქვთ. ამ მთების მწვერვალზე არასოდეს არც თოვლი დნება და არც ყინული, თუკინდ ამ მთების ძირში პაპანაქება სიცხე იღვეს, მაგალითათ, იალბუზის მთა სიმაღლით ხუთ ვერსზე მეტია და იმის მწვერვალს მუდმივი თოვლის და ყინულის ქუდი აქვს დახურული.

არაიან ისეთი მთებიც, რომელთაც სიმაღლე, ექვსი, შვიდი და რვა ვერსი აქვთ. ყველაზე უფრო მაღალ მთას ჰქვია ევერესტი (აზიაშია). ეს მთა სიმაღლით თითქმის ათი ვერსია. მისს სპეტაკს მწვერვალს ადამიანის ფეხი ჯერ არ შეხებია და ვერც ერთს მოგზაურს ვერ მიუღწევია იქამდის. ევერესტის მწვერვალზე მუდმივი თოვლი და ყინულია. თუმცა ეს მთა იმყოფება ცხელს ქვეყანაში, მაგრამ ეს სიცხე მარტო ძირსაა და იმის მწვერვალამდის ვერ უწევს. მაღლა მხოლოდ სიცივეა და ყინვა. ამიტომაცაა, რომ ყინული და თოვლი იქ არ დნება.

ჩვენს ღრომდის ადამიანს მოუხერხებია ასეღა ექვსი და ერთი მეოთხედი ვერსის სიმაღლე მთაზე; ამაზე უფრო მაღალ მთაზე ჯერ არავინ ასულა.

მაღალ მთებზე ასეღა ერთობ ძნელია; ძნელია იმიტომ კი არა მარტო, რომ გზა საშიშია,—სიცივე უშლის, ყინული, თოვლი და უფსკრული კლდეები ემოქრებიან მგზავრს ჩანთქმას, ძნელია კიდევ იმიტომ, რომ მაღალ მთის მწვერვალზე კაცს სუნთქვა ეხუთება: რაც ზევით და ზევით მიდიხარ, იმდენათ უფრო და უფრო გჭირდება სუნთქვა. დიდ სიმაღლეზე ჰაერი ისე მტკიცე არ არის, როგორც ძირს—დღდა-მიწის პირათ. ბარში რომ ადამიანი ჰაერს ჩისუნთქავს, ზევით მაღალი მთაზე ორი და სამი იმდენი ჰაერი კირ-

დება ჩასასუნთქმელათ. რომ იქ სული არ შეგეხუთოს, ხშირ-ხშირათ უნდა სუნთქავდე თორმეტ-ცამეტი ვერსის სიმაღლეზე. ადამიანს სუნთქვა ესპობა, სული ეხუთება და კვდება.

ჰაერში ათი ვერსის სიმაღლეზე ჩვენს ღრმადის მხოლოდ ორი კაცი ასულა—ორივე ინგლისელი; ერთი გვარათ გლეშერი, მეორე კოკსველი: ისინი ამ სიმაღლეზე ჰაერის ბურთით ავიდნენ.

ჰაერის ბურთი კეთდება რაიმე აბრეშუმეულისაგან ან თავთისაგან. ბურთი ერთგვარი სანდალოზით უნდა იყოს გალიპული, რომ გარედან ჰაერი არ შევიდეს. ბურთს დიდს აკეთებენ; სიგანეზე სამი-ოთხი საყენი აქვს ან და უფრო მეტიც. ამისთანა ბურთი რომ ავაესოთ კვამლით, ან და გახურებული ჰაერით, ის მაშინათვე გაქანდება ზევით, როგორც კვამლი.

ჰაერის ბურთს ზევიდან გადმოაცემენ ხოლმე წვრილი თოკის ბადეს. ბადეზე მოაბმენ დიდს კალათს, რომელიც დაწულია წმინდა წნელისაგან. აი, ამ კალათში სხდებიან მოგზაურები და მიდიან ჰაერში. ასე კეთდება ჰაერის ბურთი.

გახურებული ჰაერის მაგიერათ ბურთი შეიძლება აიესოს განანათებელი გაზით, —იმ გაზით, რომლითაც დიდს ქალაქებში ფარნებს ანთებენ. ეს გაზიც ისე მიიწევს ზევით, როგორც კვამლი, რადგან იგიც ჰაერზე უფრო მსუბუქია. განანათებელ გაზზე კიდევ უფრო მსუბუქი გაზებიცაა. ყველაზე მსუბუქ გაზს „წყალბადი ჰქვია. რასაკვირველია წყალბადით ჰჯობია ჰაერის ბურთის გაესება.

ამ წყალბადი გავსებულით ბურთით 5 სექტემბერს, 1862 წელს გლეშერი და კოკსველი აფრინდნენ ჰაერში. ბურთი ზევით ძალიან მარდათ წავადა. რამდენათაც ბურთი ზევით და ზევით მიდიოდა, იმდენათ მოგზაურნი მეტს სიცივეს გრძნობდნენ. სამი ვერსის სიმაღლეზე რომ ავიდნენ, ღრუბლებს მიუახლოვდნენ.

ბურთი რომ ღრუბლებს აცდლდა, მოგზაურები ნამეტანის სიცივისა და სინესტისაგან თახთახებდნენ. იმ ღრუბლებში თითქმის არაფერი ჩანდა. მაგრამ, როცა ბურთი ღრუბლებს გაცილდა, მაშინ ყველაფერი განათლდა: გამოჩნდა მტრედის ფერიცა და ბრწყინვალე მზე. ბურთი ჯერ კიდევ ზევით მიდიოდა.

ზევიდან მაცქერალ მოგზაურებს ღრუბლები მოაგონებდნენ თეთრს მღვლეარე მინდორს, რომელიც თითქო თოვლითაა შემოსილიო. ღრუბლების ნაწყვეტებ შუა აქა-იქ მოჩანდა დედამიწა: სოფლები, ტყეები, ქალაქები, ზღვები და გემები.

ღრუბლებზე ზევით უფრო აცივდა. ოთხი-ხუთი ვერსის სიმაღლეზე ისეთი სიცივე იდგა, რომ წყალი გაიყინა: სუნთქვა გაჭირდა, ყურებმა წივილი დაიწყეს, გულმა ცემა მოუხშირა: მაგრამ გამბედავი ინგლისელები ამას როდი შეუშინდნენ და ჩამოსვლას ჯერ არ ფიქრობდნენ. რვა ვერსის სიმაღლეზე გლეშერმა ისეთი სისუსტე იგრძნო, რომ ველარც ხელი გაანძრია და ველარც ფეხი. ერთი წუთიც და ის გულშეღონებული დაეცემოდა.

ბურთი კი სულ ზევით იწვედა. ჰანდა ორივე მოგზაური სიკვდალს ვერ გადურჩებოდნენ. ამ დროს ისინი დედამიწაზე ათი ვერსით იყვნენ მოშორებულნი. გლეშერი, მთლათ გალურჯებული, მკვდარივით იდგა კალათაში. კოკსველიც, სიცივესაგან გაფიჩხებული ძლივსღა სუნთქავდა. ამან მოიკრიფა უკანასკნელი ძალა და ხელის აწევა მოინდომა, მაგრამ ხელი აღარ მოქმედობდა: ის მთრახნით ეკიდა მხარზე. მაშინ კოკსველი კბილით დაწვდა თოკს, რომელიც მიბმული იყო ბურთის საცობზე და დასწია ძირს, საცობი მოეშვა და ბურთიდან გაზი გამოვიდა; გაზის მაგიერათ ჰაერი შევიდა და ბურთი ნელ-ნელა ქვევით წამოვიდა.

ათი ვერსის სიმაღლეზე 24 გრადუსზე მეტი სიცივე იყო. ქვევით დედამიწა კი ამ დროს შემოსილი იყო მწვანე მცენარეებით და ქრელი ყვავილებით.

გლეშერსა და კოკსველს გარდა, სხვაც ბევრი ასულა ჰაერის ბურთით, მაგრამ ამ საშიშ სიმაღლემდის კი ვერავის გაუბედნია; რვა და ნახევარ ვერსზე მალლა ჯერ არავინ ასულა.

საკვირველია, ჰაერში ასელის დროს უბედურებაც ბევრი მომხდარა: ბევრჯერ ბურთი გამსკტარა და კაცებიანი კალათა თვალწიუწედნელ სიმაღლიდან ჩამოვარდნილა და დამსხვრეულა; ზოგჯერ ბურთს ქარი წაიღებს ხოლმე, ზღვაში ჩაადგებს და იქ მსხდომ კაცებს დაახრჩობს. მაგრამ ბევრი მშვიდობიანათ ასულა ცაში და მშვიდობიანათვე ჩამოსულა.

ადვილი მისახვედრია, რომ ვარსკვლავებამდის და მთვარემდის ჰაერი არ უნდა მიდიოდეს; ფიქრობენ, რომ სამას-ოთხასი ვერსის მანძილზე ჩვენს ზევით ჰაერი სრულიად არ უნდა იყოსო.

განა ის კი ბევრმა იცის, რომ ზაფხულის ცხელს დღეს ზემოთ — ცაში — საშინელი ყინვაა გაჩაღებული?

„მოდი, შეილო, ჩემთანა!“

(თარგმანი)



ამდენი უსაზღვრო სიყვარული იმალება ამ სამად-სამ სიტყვაში! თუნდაც ერთი წუთით განზორებას შემდეგ სწრაფათ მიდის ახალგაზდა დედა შეილის აკვანთან, აწვდის ხელებს და ტკბილათ, ალერსიანათ ეუბნება: „მოდი, შეილო, ჩემთანა!“

აი, ყრმაც პირველათ იდგამს ფეხსა; ვერხვის ფოთოლივით უთრთის პაწია ფეხები, წამ-და-წამ ეხლართება, ძირს ეცემა და საშინელ ტკივილებსა გრძნობს. „მოდი, შეილო, ჩემთანა-“ ესმის ალერსით სავსე ხმა და მაშინვე ტკივილები უამდება; ცრემლები თვალებზე აშრება და დედის მკერდზე მიყრდამილს, ვარდისფერ ტუჩებზე ღიმილი ეხატება; ცელქობს, თამაშობს დედის დაუცხრომელ მზრუნველობას ქვეშ. გაუჭირდება რამ თუ არა, გარბის ფივილ-ხივილით დედასთან, მიშველვით დამეხმარეო! დედაც ყოველთვის მზათ არის: მოსიყვარულე, ღმობიერათ ხელებს აწვდის მტირალა ბავშვს და ალერსიანი სიტყვები: „მოდი, შეილო, ჩემთანა!“ — ავიწყებს ყმაწვილს ერთიანათ ბავშურ ტანჯვას.

ღრო თანდათან მიდის. ყმაწვილები ტოვებენ დედ-მამის სახლსა. ვაჟი უფრო უმაღლ გამოდის ცხოვრების სარბიელზე. ღრმათ მოსიყვარულე დედა ისტუმრებს შეილს სადმე შორს, შორს, უცხო ქვეყანას, უცხო სახლში, სასწაელებლათ. ვინ გამოთქვამს ამ ღროს დედის საიდუმლო მწუხარებას! ქალი კი უფრო ხანგრძლივათ რჩება მოსიყვარულე დედასთან. მაგრამ იმისთვისაც დგება განზორების ქამი.


თუ ოდესმე შეიღებხ მწუხარება, გაჭირვება, ავთმყოფობა. ეწვია და დედა ცოცხალი ჰყავთ, იგი მზათ არის გაუნაწილოს უკანასკნელი ლუკმა პური და ისევე ძველებური ალერსით მიმართოს: „მოდო, შვილო, ჩემთანა!“ შეიღებოც მიდიან და დედის ღრმასა და წმინდა სიყვარულში პოულობენ თავიანთ მწუხარების მაღამოს; ამავე წყაროში ჰკრეფენ ნუკემს, ძალას, მხნეობას და სულის სიმტკიცეს.

ღროს თანდათან მიდის. შეიღების ცხოვრების გზა უფრო და უფრო ფართოვდება, დედისა კი—ვიწროვდება. ახლა დედას ეჭირვება დახმარება და შეეღა, შეიღებხ—კი არა. მაგრამ დედა ხმას არ იღებს, ყველაფერს ითმენს;—გაჭირვებას უფრო ირჩევს, ვინემ დახმარებისათვის ხელები გაუწვდინოს შეიღებსა და გზაზე გადაეღობოს.

და ბოლოს დედა გრძნობს, სიკვდილის ქამი მოახლოვებულია. ვიდრე თვალეხი მთლათ არ დაუხუტავს, საბრალოს ჰსურს ერთხელ კიდევ დაინახოს ის; ვისაც შეწირა მთელი თავისი არსება, ვისთვისაც მთელი სიცოცხლე შეუწყვეტლივ უცემდა გული. ხელის ცახცახით წერს: „მოდო, შვილო, ჩემთანა!“

მაგრამ ამ ძახილზე ყოველთვის მრდიან შეიღები? სამწუხაროთ არა და არა. საბრალო დედა რა სუსტ არსებათ იქცევა ხოლმე ამ ღროს! რა რიგ საჭირო და სასურველია, ტკბილათ მოისვენებდეს შეიღის მკერდზე! მაგრამ შეიღები ყოველთვის უთმობენ თავიანთ გულ-მკერდს სუსტსა და მოხუცებულ დედას? სამწუხაროთ, არა და არა.

მაშ, პაწიებო, გახსოვდეთ დაეჟაკცების ღროსაც ეს სიტყვები, ოდესმე სანატრელი და საყვარელი: „მოდო, შვილო, ჩემთანა!“ თქვენც ალერსით და სიყვარულით ჩაიკანეთ დედა გულში, დედა მოხუცი, დაგრდომილი; ის დედა, მთელი თავის არსება სივრცე-სიგანით რა თქვენ შემოგწირათ!....





ს ი უ-ლი ე ნ

(ზღაპარი)

შოთხელ ბოგდისანი (ჩინეთის ხელმწიფე) განრისხდა ერთ მანდარინსე და უბძანა მოეკვითათ მისთვის ხელეები.

ეველაფერი მომხადებული იყო სასჯელის ასასრულებლათ, როდესაც ბოგდისანის სასახლეში უეცრათ შევიდა ამ მანდარინის ჰატარა ქალი სიუ-ლიენი და ეველა კარის კაცებს ეხვეწებოდა ეხვენებინათ მისთვის ბოგდისანი.

თუმცა ამის თხოვნის ასრულება ადვილი არ იყო, მაგრამ ჰატარა ქალი ისე ცხარე ცრემლით ევედრებოდა, რომ კარის კაცებმა შეიბრაღეს და შეიყვანეს მრისხანე ხელმწიფესთან.

სიუ-ლიენმა დანახა თუ არა ბოგდისანი, დაემო მის წინაშე და მოახსენა:

— დიდებული ხელმწიფე, ამბობენ, მამა-ჩემი ისეთი დანაშაული მოიქმედა, რომ სასჯელის ღირსია და უნდა ხელეები მოჰკვეთონო. აი, თქვენი ჭირისსანაცვლო იუოს ეს ჩემი ხელეები!

და მან გაუშვირბ თავისი ზატარა ქორება სელები.

— ეს სელები, — განაგრძო იმან, — საკუთრებაა უბედური მამაჩემისა! ამ სელებს ჯერ არ შეუძლიათ შეინახონ უძღური დედა, ავამყოფი ძმა და ქორება და. მე მხათ ვარ, უბრძანე მომეჭერან ისე, როგორც კანონი მოითხოვს, ოღონდ მამაჩემს კი შეარჩინეთ სელები, რომლებსაც შეუძლიათ ოჯახის შენახვა.

ბოგდისანი ძლიერ განაკვირვა ზატარა ქალმა, და მოინდომა მისი გამოცდა.

— ადექი! ავისრულე თხოვნას! დეე შენ მოგკვეთონ ეგ უღანაშაულო სელები მამიშენის მავივრათ!

და ბოგდისანმა უბრძანა წაეყვანათ ზატარა ქალი დასასჯელათ და იმისი მამაც, რომელიც საჭერობილეში იყო, დასწრებულიყო ამ სასჯელზე.

II

სიუ-ლიენი მიიყვანეს გასისხლიანებულ კუნძთან და სელები მიუკრეს რკინის რკოლებზე. სმაღ-ამოდებული ჯალათი მიუახლოვდა ზატარა ქალს.

სიუ-ლიენს სიკვდილის ფერი დაედო, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ ითხოვა მოწყალება.

ჯალათმა მოიძარჯვა სმაღი დასაკვრელათ. ამ დროს ბოგდისანის ერთი მსლებელთაგანი წამოდგა და შეაჩერა ჯალათი. ჯალათმა ღიმილით დაუშვა ძირს სმაღი ისე,


რომ უმაწვილის თითისთვისაც არ მოუსვენდრებია და მაშინვე ქარქაშში ჩააკო.


ამ დროს კარკი გაიღო, შემოვიდა განთავისუფლებული მანდარინი, მადლობით და ალერსით ჩაიკრა თავისი ჰატარაქალი გულში.

ბოკდისანმა ახატია მანდარინს დანაშაული და ბრძანა: ამას იქით ალაზვინ დაესაჯათ იმ გალაყანში, სადაც მან გამოცადა ჰატარაქალი. — იმ გალაყანშივე ამართეს დიდი სვეტი და მარმარილოს ფიცარზე ოქროს ასოებით დააწერეს: „აქ მანდარინის ქალი, სიუ-ლიენი, გაემხადა მამის მაკიერათ სასჯელის მიღებას“ და ამიჲი გადაარჩინა სიკვდილისგან თავისი მამა.

ნეტარ არიან მამანი, რომელნიც აღსრდიან ამისთანა შვილებს! ნეტარ არს ქვეყანა, რომელშიაც მოიპოვება ასეთი მამაშვილური სიყვარული!“

აღ. ბარნოვი





ანდაზები

- 1) ტკბილი სიტყვით მთას ირემი მოიწველა.

- 2) მოკვდა პაპა, დარჩა ჯაყვა.

- 3) მინდორშია ქინძარაო, გინდ იყოს და გინდ არაო.

გამოცანები

(ჩაწერილი შემო-იმერეთში ს. წერეთლისაგან)

მოვიდა შავი მოზვერი, სულ დაიკავა სოფელი.

უცულოთ და უნაჯახოთ სახლი მოხარატებული,
შიგა ზის კაცო ლამაზი - უღელმ-გაპიწკინებული.

შიგნით გული გულ ასია, გარეთ კანი ატლასია,
იმას ჯარი ახვევია, მეომარი ათასია.

ქოთქოთამ დაიქოთქოთა გარს შემოფრტყა შეილები,
არც არის მისი შეილები, არც არა შეილი შეილები.

ზმნა — გამოცანა

(წარმოდგენილი რუს-იმერლისა)

ბევრი გვიზღაპრ-გვიარაკა, კიდევ გვალხინ-გვამღერა მან;
 ზოგს შარბათი, ზოგს სამსალა გვასევა, მისმა ჩანგის ხმამან,
 ზოგს მკურნალათ გამოგვადგა, ზოგს ლახვარი აძგერა მან,
 ბავშსა კაკით გვიხარებს და მოძმებს გვარგო ძმურათ ძმამან.

ჩქარა გამოსთქმელი

(ხალხში გაგონილი ილიოსაგან)

ჩიტე ცხრა ფთა, ღელეს ჩახტა.
 მოიხედა და თქვა: ვაი რა ლურჯი ცა ჩანსო.

ჩიტმა რკო ჭამა, რკო ყლაპა,
 რკო მუხაზე გაიტანა კიწიალ-კოწიალითა.

ხალხური ლექსები

(აღლ. სოლოღაშვილისაგან წარმოდგენილი)

ვაი ღვდიჩემი ღმერთსა, თევზი ბადეს ველარ ეცა,
 რაც რომ შარშან მადლი ექენი, წრეულს ცოდვათ გადამექცა.

თეთრისა თხისა თიკანსა შორს შეეტყობა ვაცობა,
 ისევ შინ გამოგადგება ეგ შენი კაი-კაცობა.

სამათემატიკო გამოცანა

(წარმოდგენილი გ. იოსელიანისაგან)

სამს ძმას ჰყავდა ოც-და-ათი თხა, მათგანს ათს თხას ჰყავდა

—თითო თიკანი, ათს—ორ-ორი თიკანი; ათსაც—სამ-სამი თიკანი.
ძმებს ჰსურთ გაიყონ ისინი თანასწორათ ისე, რომ არც ერთი თი-
კანი თავის ღედას არ უნდა მოშორდეს?

აკროსტიხი

(წარმოდგენილი დ. ნინოწმინდელისაგან)

ახალში ძველათ ცნობილო
კარგი მამულის შვილი ხარ,
არც კარგსა ჰფარავ, არც ცუდებს,
კამათში მარჯვეთ მოქმელი ხარ;
წარაუღსა ჰგოდებ მოთქმითა,
ემსხვერბლო მომავალს გინდა.
რასა იქ აწმყო არ გწყალობს,
ერიდვ, ძიავ ნუ გინდა...
თავს გაუფთხილდი, იცოცხლე,
ერისა შენ ხარ ნუგეში;
ლახვარი შენი წრთობილ არს
ივერთა ცრემლის გუბეში...

შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი თეოფ. კანდელაკის მიერ)

პატარა ქალის სახელი
სამი ასოთი შედგება;
უკუღმა რომ წაიკითხო,
მუშა კაცს ხენაში ერგება.
თავში თუ უზამს მიუწერ
ვაჟს სახელათ იქცევა.
ამასაც წინ მიუმატე




უხმო ასოი ისევა:

მაშინ შენობას მიიღებ,
სად ჭკვა-გონება იწერთნება...
აბა, ვინ მეტყვის საჩქაროთ
მთელი რა სიტყვა იქნება?..

რ ე ბ უ ს ი


(წარმოგენილი სიღნაღიდან „ქართველისაგა“)



ა



ს 100'რი



ხირა



ან



სა

№ 1 გამოცანების ახსნა:

1) თოფი, 2) ლეკურის თამაში, 3) ყინვა, 4) ურდული.

აკროსტიხი: 1) ზამთარია, 2) თ. რ. ერისთავი. 3) თ. გ.

ერისთავი.

შარადა: თავისუფლება.

რებუსი: იმას დაეარქვათ უმზგაესი, ვინც მეგობარი გაყიდოს,
ვინცა სამშობლოს წამებულს გაუდგეს განზე, ერიდოს.

იმას, ვინც შუროთ, ავი ზნით, მუხთლობით არვის ზოგავდეს,
ვინც სოფლათ მოძულეებული, ვით ჭრელი გველი ცოცავდეს.
გამოცანები და აკროსტიხები ახსნეს: სემენარიის მესამე კლასის

მოწაფემ ტრიფონ ჯაფარიძემ და ბათუმში ირაკლი მჭედლი-
შვილმა. შარადა: ირაკლი მჭედლიშვილმა. რებუსი ახსნეს გორის
სასულიერო სემინარიის პირველ კლასის მოწაფემ ზაქ. ქიტიაშვი-
ლმა, ბახვის სკოლის მეოთხე განყოფილების მოსწავლემ დათიკო
შარაშიძემ და ტრიფონ ჯაფარიძემ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ-წერეთლისა

